ეროვნული ბიბლიოთეკა





რადიო 50



ტელევიზია 20





# დროშა

მარტი
№ 3 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხული

ანატოლ რუხაძისა და იოსებ დავითაშვილის ფოტო.



# ღირსეული შეხვედრა დიად ოქტომბერს!



ნ. კვერცხიშვილი.



ა. ფრანგიშვილი.



ვ. ფეიქრიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ადამიანები თავდადებით იბრძვიან მეათე ხუთწლედის მეორე წლის გეგმებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახულ დიდმნიშვნელოვან წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ამ შემოქმედებითი შრომის დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უმნიშვნელოვანესი იდეურ-თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც მკაფიოდ აშუქებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველმყოფელ ძალას, აანალიზებს დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, გვამცნობს ჩვენი მიღწევების ფართო პანორამას.

დადგენილების გულმოდგინედ გაცნობა ერთხელ კიდევ ნათელყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, ახალი ძალით, ენთუზიაზმით, შემოქმედებითი გზნებით ალავსებს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს.

ჩვენ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მუშები, ერთსულოვნად ვდგებით დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომით ვახტზე.

შარშანდელი წლიური გეგმა გადაჭარბებით შევასრულე. საიუბილეო წელს კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და გულისყურით შევეჭიდები საქმეს. ჩემი გადაწყვეტილებაა — მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვის შევასრულო.

**ნიკოლოზ კვერცხიშვილი,**
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ მუშებსა და კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ჩვენს სახელოვან ქალებს, ქალიშვილებს და ჭაბუკებს, ყველა მშრომელს — მოუწოდებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს შეხვდნენ შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით. ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს იუბილე აღნიშნონ ახალი წარმატებებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ქართველმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცხრე ხუთწლედში მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში — მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, გამოყენებით მექანიკაში, გეოგრაფიაში, გეოლოგიაში, გეოფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიაში ჩატარებული კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში სამეცნიერო სამუშაოების ორგანიზაციის თვალსაზრისით სიახლეს წარმოადგენს კვლევათა პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის შემოღება. დღეისათვის მეცნიერებათა აკადემიის 14 სამეცნიერო დაწესებულება ჩაბმულია 1976-1980 წლების უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ კვლევათა 15 საკავშირო პროგრამაში.

აკადემიის საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ჰუმანიტარული პროფილის ინსტიტუტებს პერმანენტულად შეაქვთ თავისი წვლილი (1976-1980 წლებში) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მისი სოციალურ-ეკონომიური შედეგების კომპლექსური პროგრამის შემდგომ სრულყოფაში.

დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მთელი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს. პარტიის მოთხოვნა „ვიმუშავოთ უკეთ, ავამაღლოთ ეფექტიანობა და ხარისხი!“ დღეს ყოველი სამეცნიერო ორგანიზაციის მუშაობის შინაარსს განსაზღვრავს.

**ალექსანდრე ფრანგიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ამ მეტად მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა დოკუმენტმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენში. კოლმეურნეებმა გადავწყვიტეთ, რომ გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ და დამკვრელური შრომითი მიღწევებით შევეგებოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

მეათე ხუთწლედის პირველი წელი კარგად დავამთავრე. ჩემზე გაპიროვნებული ვენახიდან გეგმით გათვალისწინებული 1.600 კილოგრამის ნაცვლად 2.030 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოვიყვანე. გადაჭარბებით შევასრულე აგრეთვე შაქრის ჭარხლისა და ხახვის ჩაბარების გეგმები.

შარშან სამი გრამი აბრეშუმის ჭიიდან ვალდებულებით ნაკისრი 15 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარე 35 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმს ასეთი შრომითი მაჩვენებლებით შევეგებები: გაპიროვნებული ვენახიდან 3.000 კილოგრამ მაღალხარისხოვან ყურძენს მივიღებ, მნიშვნელოვნად გავზრდი ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობას, დახმარებას გავუწევ ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეებს...

წინ დიდი და დაძაბული შრომა მელის. თავს არ შევირცხვენ, შრომაში მოპოვებული სასახელო მაჩვენებლებით ხელდამშვენებული შევეგებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის საყოველთაო-სახალხო ზეიმს.

**ვარდიკო ფეიქრიშვილი,**
კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 3 (483) მარტი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1977.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით ხეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი





მექანიზატორი ნიკოლოზ ქარჩავა.

## ხუთწლედის ავანგარდში

# ინგირელი მექანიზატორი

ნიკოლოზ ქარჩავა კოლმეურნეობის კანტორაში გავიცანი.

საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჭაღარიანი, მკვრივი და მკვირცხლად მოსაუბრე კაცია.

ეს-ეს არის საუბარი ავაწყეთ, მაგრამ მექანიზატორ ნიკოლოზ ქარჩავაზე უკვე იმდენი რამე მიამბეს, რომ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ვაყრი ათასნაირ შეკითხვებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მექანიზატორებს უდიდესი წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ტყუილად როდი უწოდებენ მათ სოფლის მეურნეობის ცენტრალურ ფიგურას! მექანიზატორების ცოდნასა და პროფესიულ დაოსტატებაზე, მათ მონდომებასა და თავდადებულ შრომაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდება, მისი დროულად და უდანაკარგოდ აღება.

ნიკოლოზ ქარჩავა იმ სახელოვან მექანიზატორთა ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლებსაც საზოგადოებრივი საქმისათვის ბრძოლა თავიანთ უპირველეს დანიშნულებად უქცევიათ; დღენიადაგ ფიქრი, ახლის ძიება, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომა, თავდადებული გარჯა და შრომა სამშობლოს წინაშე პირნათელი სამსახურისათვის დაუძვამდებარებიათ.

ზოგად მსჯელობას, რა თქმა უნდა, მეტყველი ფაქტების მოშველება სჯობს.

მოდით, ნიკოლოზ ქარჩავას საქმიანობაზე საუბარი ერთი მეტად საგულისხმო ამბის გახსენებით დავიწყოთ.

იმ წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის უხვი მოსავალი მოიწიეს.

გამრჯე ადამიანებს შრომა დაუფასდათ; თავიც ისახელეს, კარგი ფულადი ანაზღაურებაც მიიღეს და პრემიებიც დაიმსახურეს.

— შენ? — ჰკითხა შინ დაბრუნებულ ნიკოლოზს კართან მიგებებულმა მეუღლემ.

— ყველაზე ცოტა ფული მერგო.

ნიკოლოზს შეკითხვისათვის აღარ დაუცდია და მაშინვე დასძინა:

— ყველაზე ცოტა ჩაის ფოთოლი მე მოვკრიფე და იმიტომ.

ღამე თეთრად გასტეხა ხელმოცარულმა მეჩაიემ.

იმ წელს, როცა შემოსულმა დუყებმა იმძლავრა, კაცმა რომ თქვას, შრომა არ მოუკლია მათთვის ნიკოლოზს. უთენია დგებოდა, თაკარა სიცხესა თუ ქინქლიან ამინდში თავგამოდებით კრეფდა ფოთოლს. კრეფდა მაგრამ ბარაქა მაინც ვერ დააყენა საქმეს. უხვი მოსავლის მოყვანა, ცხადია, თავიდანვე მოითხოვდა მტკიცე საფუძვლის ჩაყრას.

ამ საფუძვლის ჩაყრაზე ფიქრობდა ახლა ძილგატეხილი, ნიკოლოზი.

მომდევნო წელს ნიკოლოზ ქარჩავამ 30 ტონა „მწვანე ოქრო" ჩააბარა სახელმწიფოს. ტოლი ღარ დაუდვია სხვებისთვის, მაგრამ ესეც ცოტა იყო! საქმესთან საგულდაგულოდ შეჭიდებულს ახლა უკვე მეტის გაკეთება სურდა.

იმ დილით უთენია წამოადგა თავზე ფერმის გამგეს ნიკოლოზი.

— ცოტა ნაკელი უნდა მომცე, — მისალმების შემდეგ უჩვეულო სიდინჯით ჩაილაპარაკა ნიკოლოზ ქარჩავამ, — აქამდე პლანტაციაში მხოლოდ არაორგანული სასუქები შეგვქონდა... ეხლა ორგანულიც მინდა ვცადო... ვნახოთ, რა შედეგს მოგვცემს.

პლანტაციაში ორგანული სასუქის შეტანით შრომა გაისამკეცა ნიკოლოზმა. რიგებს შორის ჯერ ორი ბარის პირი მიწა ამოიღო, ორგანული და არაორგანული სასუქი მიმოფანტა, მერე ზედ ტორფი წაუმატა, ისევ გულმოდგინედ მიაფარა ამონაყარი მიწა.

გაზაფხულზე ზღვასავით მოხვავდა ლორთქო დუყები. გაპიროვნებულ ნაკვეთზე შეუძლებელი აღმოჩნდა მომძლავრებული ფოთლების სწრაფად და უდანაკარგოდ მოკრეფა. ასეა, ჩაის კრეფაში წუთებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შეგაგვიანდება, დროზე ვერ მოკრეფ მოზღვავებულ ჩაის ფოთოლს და მორჩა, მთელი წლის შრომა წყალში იყრება! თვალსა და ხელს შუა უხეშდება ფოთოლი, ქვეითდება და ეცემა ჩაის ხარისხი.

ისევ ახლის ძიება, რაღაც სწორი, მოხერხებული მეთოდის გამონახვა იყო საჭირო.

ნიკოლოზ ქარჩავამ, სხვა ჩარა არ იყო, ადგა და ჩაის ბუჩქების გასხვლა სხვადასხვა დონეზე დაიწყო.

ამ უბრალო, ერთი შეხედვით თითქოსდა იოლად მისაგნებმა საშუალებამ, საჭირო შედეგი გამოიღო. სხვადასხვა დონეზე გასხლულ ჩაის ბუჩქებზე სხვადასხვა დროს დაიწყეს წამოზრდა მოსაკრეფმა დუყებმა.

ახლა საშიში აღარ იყო მათი მომძლავრება. მოკრეფდა შემოსულ დუყებს და მეორე დღეს ახლა სხვა ბუჩქებზე გაჩნდებოდნენ ხოლმე მოსაკრეფი დუყები.

ნიკოლოზ ქარჩავას მიერ მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი თანდათან გაუტოლდა ხელით მოკრეფილი ფოთლის ხარისხს. მთელი ნედლეულიდან 80 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისა იყო! ასეთი საუკეთესო მაჩვენებელი არავის ჰქონდა ინგირელ მეჩაიეთა შორის.

ჩაის ფოთლის ხარისხზე, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამინდი. წვიმაში მოკრეფილი ჩაის ფოთოლი მალე იჭმუჭნება და მნიშვნელოვნად ქვეითდება მისი ხარისხი.

მაისში, როცა ძირითადად წყდება კრეფის საკითხი, ინგირში გამუდმებული წვიმები იცის ხოლმე. მაღალხარისხიანობის შენარჩუნების ერთადერთ საიმედო გამოსავლად წვიმებს შორის გამოდარების მოკლე დროლა რჩება.

როგორ გამოვიყენოთ მაქსიმალურად ეს მოკლე დრო? როგორ მივაღწიოთ შემოსული ფოთლის უფრო სწრაფად კრეფას? აი საკითხები, რომლებმაც ერთხელ კიდევ ღრმად და საფუძვლიანად ჩააფიქრა ინგირელი მექანიზატორი ნიკოლოზ ქარჩავა.

გამოსავალი ახლაც მოინახა.

ნიკოლოზმა ჩაის საკრეფი მანქანის სეგმენტებს სახე უცვალა — კბილანები დაუგრძელა. ამ, ერთი შეხედვით, უბრალო გაზრებამ, სასურველი შედეგი გამოიღო და მნიშვნელოვნად აამაღლა ჩაის ფოთლის კრეფის სისწრაფე.

— სეგმენტი რომ ცოტა წინ იყოს წამოწეული, — ამიხსნა მექანიზატორმა, — უფრო დიდ სამსახურს გაგვიწევდა. საკვეცი კბილანები მოკლეა. როცა მანქანას სიჩქარეს ვუმატებ, მოკლე კბილანები ვერ ასწრებს ყველა ფოთლის მოკრეფას; ხშირად დუყებს ედება, ღუნავს და აზიანებს. იმ დასკვნამდე მივედი, რომ თუ მოძრავი სეგმენტის შუა ნაწილებს კბილანებს დავუგრძელებ, სიჩქარის მომატების მიუხედავად, მანქანა მაინც შესძლებს მეტი ფოთლის მოკრეფას, ფოთოლშემსრუტავი დანადგარი დუყებს უფრო იოლად შეასრულებს და დანაკარგი აღარ იქნება. ჩანაფიქრმა გაამართლა.

ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხული კარზეა მომდგარი.

ცოტა კიდევ და, საქართველოს ხავერდოვან პლანტაციებს ჩალისქუდიანი მეჩაიეები შეესევიან.

მათ ბევრჯერ ასახელეს სამშობლო. ეჭვი არ არის, თავდადებული შრომით ახლაც ისახელებენ თავს. საერთო წარმატებაში კი ინგირელი მექანიზატორის, საერთო საქმისთვის თავდადებული ნიკოლოზ ქარჩავას ახალი წვლილიც იქნება!

ვიტალი მიქიაშვილი



კოლმეურნეობის მექანიზატორთა ერთი ჯგუფი.



# ჩვენ ხუთი მილიონი ვართ 5

დიდი ოქტომბრის მე-60 საიუბილეო წლის 8 იანვარს საქართველოში დაიბადა ბავშვი, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ზუსტად 5 მილიონი გახადა.

საქართველო ამჟამად ამიერკავკასიაში მეორე, ხოლო საბჭოთა კავშირში მეშვიდე რესპუბლიკაა, რომლის მოსახლეობა 5 მილიონს აღემატება. გარდა ამისა, საქართველო შევიდა მსოფლიოს იმ 80-მდე ქვეყნის რიცხვში, რომლებშიც 5 მილიონზე ნაკლები ადამიანი არ ცხოვრობს.

სხვადასხვა ქვეყნებში საგანგებოდ აღნიშნავენ ხოლმე ე. წ. დემოგრაფიული იუბილარის დაბადების ფაქტსა და თარიღს: ასე მაგალითად, 1961 წელს უნგრეთის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართოდ აღნიშნა მეათემემილიონე მოქალაქის დაბადება; 1969 წელს რუმინეთში იზეიმეს მეოცე-მემილიონე ადამიანის დაბადება, ათი წლის წინ საფრანგეთში ოფიციალურად აღინიშნა იმ ბავშვის დაბადება, რომელმაც საფრანგეთის მოსახლეობა 50 მილიონი გახადა.

ჩვენს ქვეყანაში 1968 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა ცნობა, რომ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობამ 5 მილიონს მიაღწია; რამდენიმე წლის წინ ასევე აღინიშნა მოძმე თურქმენეთში მეორე-მემილიონე მოქალაქის დაბადება და სხვ.

1973 წლის 9 აგვისტოს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 250 მილიონი გახდა. ამ სასიხარულო მოვლენას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, რადიო...

იმავე წლის აგვისტოში ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ალმა-ათაში წარმოთქმულ სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის 250 მემილიონე მოქალაქის დაბადება ყველა ჩვენგანის სასიხარულო მოვლენაა.

საბჭოთა კავშირში ამჟამად 255,5 ადამიანი ცხოვრობს და მოსახლეობის რაოდენობით მას მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია.

ჩვენი პლანეტის პირველი საიუბილეო დემოგრაფიული თარიღი 1820 წელზე მოდის. ამ წელს მსოფლიოს მოსახლეობა 1 მილიარდი გახდა. მოსახლეობის ორ მილიარდამდე გამრავლებას 110 წელი დასჭირდა, 1960 წელს, ე. ი. 30 წლის შემდეგ, მთელი მსოფლიოს მოსახლეობა 3 მილიარდამდე გაიზარდა, ამჟამად კი 4 მილიარდს მიაღწია.

ბუნებრივია, მკითხველებს აინტერესებთ ვინაობა იმ დემოგრაფიული იუბილარისა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა ხუთი მილიონი გახადა?

საქართველოში ახლა ყოველწლიურად დაახლოებით 90 ათასი ბავშვი იბადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ყოველდღიურად იბადება 250 ბავშვი, ყოველ საათში 10 ბავშვი, ყოველ 6 წუთში 1 ბავშვი.

ცხადია, ასეთ ვითარებაში თვით „ყოვლისმცოდნე" სტატისტიკასაც კი არ ძალუძს ზუსტი და დეტალური პასუხის გაცემა; მეხუთე-მემილიონე იუბილარის შესახებ სტატისტიკას მხოლოდ ახალშობილი მოქალაქის „საშუალო ბიოგრაფიის" დადგენა შეუძლია.

აი, ეს ბიოგრაფია:

სქესი და ეროვნება: უკანასკნელი წლების მონაცემებით, საქართველოში გოგონებთან შედარებით ვაჟები მეტი იბადებიან, ახალშობილთა შორის 70 პროცენტამდე ქართველი ეროვნების ბავშვია. ასე რომ, იუბილარი უფრო მეტად უნდა იყოს ვაჟი და ქართველი, ვიდრე გოგონა და სხვა ეროვნების ბავშვი.

დაბადების ადგილი. საქართველოში მხოლოდ ამ ბოლო წელს გადააჭარბა ქალაქებში დაბადებული ბავშვების რაოდენობამ სოფლებში დაბადებული ბავშვების რაოდენობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჟამად საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობამ გადააჭარბა სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობას.

ქალაქის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი ჩვენი რესპუბლიკის მილიონიან დედაქალაქზე მოდის.



მაშასადამე, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ახლადშობილი იუბილარი ქალაქელი, უფრო მეტად, თბილისელი.

მშობლები და ოჯახის სხვა წევრები. დღევანდელ საქართველოში ვაჟების საშუალო საქორწინო ასაკი 28 წელია, ქალებისა 25 წელი. ყველაზე უფრო გავრცელებულ დემოგრაფიულ ტიპს წარმოადგენს ოროთაობიანი ოჯახი — ერთი დაქორწინებული წყვილით: ცოლ-ქმარი და ორი შვილი. ოჯახები, რომლებიდან ცოლიცა და ქმარიც ჩაბმულია საზოგადოებრივ წარმოებაში, ყველაზე უფრო გავრცელებულია საქართველოში (51,8 პროცენტი; მოსახლეობის 1970 წლის აღწერით). დასაქმებულთა შორის, როგორც კაცებში, ასევე ქალებში, ორ-მესამედზე მეტს აქვს უმაღლესი და ზოგადი სრული საშუალო განათლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუბილარის მშობლები ომის შემდეგ დაიბადნენ; ისინი დასაქმებულნი არიან საზოგადოებრივ წარმოებაში; ასრულებენ გონებრივ სამუშაოს. იუბილარს ჰყავს და ან ძმა.

გარდა ამისა, ვინაიდან საქართველოში ახალშობილთა შორის ყველაზე დიდი წილი მოდის პირველ ბავშვზე (44 პროცენტი), სავარაუდოა, რომ იუბილარი მშობლების პირმშოა.

წინაპრები, დემოგრაფიული წინამორბედები. საქართველოს დემოგრაფიული ბიოგრაფიის შორეულ წარსულს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენში მოსახლეობის რაოდენობამ პირველად დაახლოებით 1837 წელს მიაღწია ერთ მილიონს. ამდენად, სტატისტიკურად ცნობილი პირველი-მემილიონე იუბილარი იმ წელს გაჩნდა. 65 წლის შემდეგ, ე. ი. 1902 წელს საქართველოს მოსახლეობა 2 მილიონამდე გაიზარდა და მაშასადამე ამ წელს მეორე იუბილარი დაიბადა. მესამე იუბილარის დაბადებას — საქართველოს მოსახლეობის სამ მილიონამდე გაზრდას დაახლოებით 30 წელი დასჭირდა.

დიდი სამამულო ომის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის ოთხ მილიონამდე მატებას, ყველა წინა პერიოდთან შედარებით, ნაკლები დრო — 26 წელი დასჭირდა, ხუთ მილიონამდე გაზრდას კი კიდევ უფრო ცოტა დრო — 19 წელიწადი.

რევოლუციამდელ საქართველოში ქართველი მოსახლეობის გაორკეცებას თითქმის ერთი საუკუნე — 96 წელი დასჭირდა (1801 წ. 670 ათასი, 1897 წ. 1.814 ათასი).

საბჭოთა პერიოდში კი მარტო 1926-1970 წწ. ქართველთა რაოდენობა გაიზარდა 1.782 ათასიდან 3.313 ათასამდე, 1959-1970 წწ. რესპუბლიკის მოსახლეობაში ქართველების წილი გაიზარდა 64,3 პროცენტიდან 66,8 პროცენტამდე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისთან შედარებით, დღევანდელ საქართველოში დაბადებულებს 10-ჯერ მეტი შესაძლებლობა აქვთ გადააცილონ 16 წლის ასაკს, ჩაებნენ შრომაში და მონაწილეობა მიიღონ ეროვნული შემოსავლის შექმნაში.

აღნიშნულმა დემოგრაფიულმა ფაქტორმა გარკვეულად განაპირობა ის გარემოება, რომ 1913 წელთან შედარებით, თანამედროვე საქართველოში თითქმის 90-ჯერ გაიზარდა ეროვნული შემოსავალი. მკვეთრად ამაღლდა რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ჩვენს მეხუთე-მემილიონე იუბილარს საქართველოში დახვდა 1600-ზე მეტი საბავშვო ბაღი და ბაგა — 150.000 ადგილით; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 1 მილიონი მოსწავლისათვის, 91 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, 19 უმაღლესი სასწავლებელი, 10 ათასი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, 20 ათასზე მეტი ექიმი...

მისთვის ყოველგვარი პირობებია შექმნილი ნორმალური ზრდისა და მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

დემოგრაფიული პერსპექტივები და შთამომავლობა. საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 72 წელია. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელს მსოფლიოში. მომდევნო ხუთწლედებში სიცოცხლის ხანგრძლივობა კიდევ გაიზრდება.

ჩვენი იუბილარი, ასეთი მაჩვენებლების მიხედვით, XXI საუკუნის მეორე ნახევარს მიაღწევს.

რადგან საქართველოში პირველად დაქორწინებულთა საშუალო საქორწინო ასაკი ხასიათდება შემცირების ტენდენციით, სავარაუდოა, რომ იუბილარი დაქორწინდება მეოთხედი საუკუნის შემდეგ; რადგან რესპუბლიკაში ახლადდაქორწინებულთა შორის სასურველი ბავშვების საშუალო რიცხვი 2,9 ბავშვს უდრის, იუბილარს შეიძლება შეეძინოს 2-3 შვილი, დაახლოებით ნახევარი საუკუნის ასაკში კი შეიძლება პაპაც გახდეს.

როცა იუბილარი დაახლოებით 14-15 წლისა იქნება, საქართველოს მოსახლეობას შეემატება მეექვსე-მემილიონე მცხოვრები.

ვუსურვოთ ჩვენს ახალშობილ იუბილარს — მეხუთე-მემილიონე თანამემამულეს მომავალი ცხოვრების გზაზე მშვიდი „დემოგრაფიული ამინდი", ხუთმილიონიანი საქართველოს, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ზრახვებისა და მისწრაფებების გამარჯვება.

გია ფირცხალავა,
დემოგრაფი.

# R რადიო 50

# TV ტელევიზია 20



● რადიოს ინფორმაციის მთავარი რედაქციის თანამშრომლები (მარცხნიდან) რედაქტორი ნუცა ერისთავი, კომენტატორი დიმიტრი კიკვიძე, მთავარი რიდაქტორი გიგი თევზაძე და კომენტატორი ალექსანდრე გეგეჭკორი.



● 1960 წელი. გალაკტიონ ტაბიძე რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციაში.



● რადიოს დიქტორები ქეთევან ლანდია და თემურ ჩხიკვაძე.



● 1955 წელი. გიორგი ლეონიძე კითხულობს საკუთარ ლექსებს.

● 1956 წელი. რადიოთი გამოდის სპარტაკ ბალაშვილი.



ვიქტორ ჯეირანელისა და თარხან არჩვაძის ფოტო



● რადიოს საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქციის თანამშრომლები (მარცხნიდან) რეჟისორი ლევან გურული, პასუხისმგებელი მდივანი ზაზა დარასელი, განყოფილების გამგე მიხეილ კოპალეიშვილი, რედაქტორი ჯულიეტა ლომთაძე და რეჟისორის ასისტენტი ინეზა ხავთასი.

„დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!" — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენში რადიოს სიცოცხლე ამ ხუთი ათეული წლის წინათ და მას შემდეგ ამ სიტყვებით იწყება ყოველი დილა ყველა ოჯახში; ასე შემოდის იგი ჩვენს ყოფაში — ერთგული მეგობარი, კეთილი მრჩეველი, მოაქვს ახალი ამბები მთისა და ბარისა, გვამცნობს ჩვენი თუ საზღვარს გადაღმა მცხოვრები ადამიანების საქმიანობას.

ბევრს დღესაც ახსოვს რადიოს პირველი ნაბიჯები ჩვენში. მაშინ ეთერში გასვლა ერთი საათით ძლივს ხერხდებოდა. ახლა საქართველოში კუთხე არ არის, რადიოს არ უსმენდნენ; დღე-ღამეში 24 საათია, ის კი 31 საათის განმავლობაში — სამი პროგრამით ჩვენი ქვეყნის ხალხთა შვიდ ენაზე ესაუბრება რესპუბლიკის მშრომელებს.

ვინ მოთვლის რამდენი იმედის მომცემი და სასიხარულო ცნობა გადმოუცია რადიოს ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე. დიდი სამამულო ომის წლებში, იმ მძიმე და მრისხანე ჟამს, ჩვენი ხალხისათვის რადიო განუზომლად დიდი ძალა, რწმენა და იმედი იყო. სამშობლოს ხმას — ყველაზე ძვირფასს და საიმედოს, სულმოუთქმელად ელოდნენ მეომრები ფრონტის წინა ხაზზე.

დღეს საქართველოს რადიომაუწყებლობა ჩვენი ერის, მისი სულიერი ცხოვრებისა და ყოფის განუყრელი ნაწილია, ჩვენი ეპოქის მძლავრი ხუნთქვაა.



● სატელევიზიო ანძა თბილისის თავზე.



● ფერადი გადაცემების სტუდია. ინჟინერი ლ. ქემელაშვილი და უფროსი ელექტრომექანიკოსი ი. შერსტიანიხი.



● ინფორმაციის მთავარი რედაქცია. სამონტაჟო განყოფილება მთავარი რეჟისორი ზ. კაცია, რეჟისორი ა. ბარდაველიძე, კორესპონდენტი ს. ქვანია და რეჟისორი ნ. საბაშვილი.



● „მოამბის" სტუდიაში.



● სტუდიის კინოოპერატორი გ. მცალობლიშვილი.

● ტელესტუდიის მხატვრები თ. გოცაძე, ნ. ცაბაძე, ზ. ღეისაძე.



● ტელეოპერატორი რ. გაბაშვილი.



ამ ოცი წლის წინათ ჩვენში რადიოს გვერდით ცისფერი ეკრანი დამკვიდრდა. ორათეულ წელიწადში სატელევიზიო რეტრანსლატორებმა დაქსელა ჩვენი მთა-ბარი. ცისფერი ეკრანი ანთია გორში, ცხინვალში, გურჯაანში, ლენინგორში, სოხუმში, სიღნაღში, ბათუმში, ქუთაისში, მესტიაში. სარეტრანსლაციო ხაზმა საქართველო მოსკოვს დაუკავშირა. ოცი წლის მანძილზე ტელევიზიამ ბევრი საინტერესო გადაცემა განახორციელა, უკვდავყო და შთამომავლობას შემოუნახა ღვაწლმოსილ და სახელოვან ადამიანთა სახეები.

დღეს რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტების შემწეობით ტელევიზია და რადიო, მოწინავე გამოცდილების პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების, ხელოვნების ნაწარმოებთა პოპულარიზაციის ყველაზე მასობრივი საშუალებაა.

რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტებთან ერთად ათეული წლების მანძილზე ხალხს ერთგულად ემსახურებიან დიქტორები, მრავალრიცხოვანი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომლებიც რთულ აპარატურასა და დანადგარებს მართავენ ჩვენამდე სუფთა ხმა და მკვეთრი გამოსახულება რომ მოვიდეს.

ჟურნალ „დროშის" კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია ულოცავს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, მის ყველა თანამშრომელს საიუბილეო თარიღს და უსურვებს მათ წარმატებას თავიანთ მაღალკეთილშობილურ საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თინა კოგაური

### ერთხელ მაპატიეთ

ოღონდ ნუ ჩამითვლით ცოდვად,
ერთხელ მომიტევეთ ცოტა,
ერთხელ შემახვედრეთ ღმერთი,
მეც მაქვს სათხოვარი ერთი,
ერთხელ ნუ ჩარაზავთ კარებს,
მეც ამ ერთხელ მოვალ, ვიცი,
როგორც უკვდავების ფიცი.
ერთხელ ლექსი მასვით თასით,
ვიგრძნო უკვდავების ფასი,
ამას ნუ ჩამითვლით ცოდვად,
უნდა მაპატიოთ ცოტა.

* * *

მე ნაწვიმარი მიწის სურნელით
გაბრუებული, გავურბი ფიქრებს,
და სიხარულის ცრემლები ვაზის
სიცოცხლის ფუძე მეგონოს იქნებ.
თუ სააპრილო ტყემლების თოვლი
გადმომეყარა თავზე ფიფქებად,
მამის დაკოჟრილ ხელების სითბომ
არ მაგრძნობინოს როგორ იქნება.
მზის სხივთა ცეცხლი, ან ნაწვიმარი
დამათრობელი სურნელი მიწის,
აპრილმა იცის ცეცხლის გაჩენა,
აპრილმა ლურჯი წვიმებიც იცის.

## იზა ჯაჭვაძე

* * *

შენთან ახლოს ისე
კრძალვით ჩავიელი,
როგორც ველად
ჩუმი მინდვრის ყვავილი.
თუ შენ გულში
ჩემზე აუგს გაივლებ,
მივაშურებ ჩემს
დადნაფიც ყვავილებს.
და ველ-მინდვრებს
მათთან ერთად დავივლი
სამომავლო
ფიქრითა და ოცნებით...
შენთან ახლოს
ისე კრძალვით ჩავივლი,
როგორც ველად
ჩუმი მინდვრის ყვავილი.

## ნინო ბადურაშვილი

### ჩემი სასოება

ცისო ვუწოდე ხვითოს;
ჰგავს ჩამოფრენილს ციდან,
ფეხის წვერებზე დგება,
ჯერ კიდევ ერთი ციდა;
უნდა ამაღლდეს ისე,
ჰერს მიაწვდინოს ხელი,
მშობელს მატყვევებს შვილის
თეთრი, ფუნთუშა ყელი.
ვინ დამიმონა, ვინა,
ეს რა ხვედრი მხვდა წილად?
ამ პაწაწინას გამო
ვფხიზლობ, აღარა მძინავს...
შემესისხლხორცა ისე,
ვით საკუთარი გული,
მხოლოდ მის ჰიკჰიკს ვუსმენ,
ვუფრთხილდები და ვუვლი...
ვარსკვლავებს არ ვთვლი ცაში,
აღარ გავდივარ კარში,
რაღა დედა ვარ მაშინ,
თუ ამიტირდა ბავშვი.

## ნაზი ჭედია

* * *

მთებს ნისლის ქოჩორს უწეწავს
ქარი
და ახლა ვიცი საბადურს ათოვს,
საბადურს, მე რომ უხილავ ძალით,
ყველაზე მეტად მიზიდავს ამ დროს.

როცა მას თოვლის საბანი ჰხურავს
და თეთრ სიჩუმეს ფიფქებად
მათოვს,
მივყვები გზებს და ვგრძნობ
გაუხუნარ
გაზაფხულს იგი რა რიგად ნატრობს!

### ქ ა რ ი

ზეცის დაფაზე უხილავ ხელით
მუდამ შლის და წერს უცნობ
სტრიქონებს,
ხან კი დაღლილი შრომით, სიმღერით,
გაუუჩდება და ძველ ხმებს იგონებს...

ხან შემოივლის ცის ყოველ კიდეს,
მოინახულებს მთებს და ლელიანს,
ხან კი მის მოსვლას ლურჯი ყაწები
და ზღვის ტალღები თრთოლვით
ელიან.

და არის მასში რაღაც ნამდვილად,
იდუმალი და ომახიანი,
რასაც მჯერა, რომ ასე ადვილად,
ვერ გამოიცნობს ადამიანი!

## ლინა ბარათაშვილი

### იშრიალებენ შენი ფურცლები

ნადეჟდა კურჩენკოს

როგორც გმირობის
უკვდავება,
რწმენა უცვლელი
დაშრიალებენ
ქარში შენი
სუფთა ფურცლები.
მზე ჯილდ გედგა
ვარსკვლავეთში
მშვენიერ ასულს,
თვრამეტი წელი
ერქვა მხოლოდ
აწმყოს და წარსულს.
მამულის ტრფობით
დაგმუხტვოდა
ყოველი გენი,
ცას ელვასავით
ანათებდა ღიმილი შენი.
ცის მაჯისცემას
დარაჯობდი,
გიკვირდა ასულს,
გარს შენს გაზაფხულს
რად ავლებდნენ
ეკლიან მავთულს...
ვით სიჭაბუკე,
ვით გმირობის
რწმენა უცვლელი,
იშრიალებენ
მზეზე შენი
სუფთა ფურცლები.

## ვერიკო წერეთელი

### აღსრულების ნება

დაადგი ფეხი, რად შეყოვნდი,
ნუ ნაღვლობ ვინც არს,
დაადგი ფეხი, ქვას კი არა,
მის გულის ფიცარს.
დაადგი ფეხი,
თუ ხარ მოყვრის ხელგამმართველი,
თუ გულით მოძმის გამტანი ხარ,
თუ ხარ ქართველი.
უკან რად იხევ, რად შეჩერდი,
ფეხი რად დგება?!
ბრწყინვალე მეფის სურვილია,
აღსრულდეს ნება!
ცოცხალს არასდროს ასცდენია
მტრის ხმალზე ფარი,
მკვდარს თავის ხალხის ამჩნევია
გულს ნატერფალი.
გვერდს ვერ აუვლი,
თუ დანთება გინდა სანთელის,
უთვალავს ერთიც მიემატოს
კვალი ქართველის.
დე, აჩნდეს კვალი,
რაღად გინდა ნატვრა მიხნობის,
კვალი — სიმბოლო
საქართველოს მარადისობის.

## დოდო გვიშიანი

* * *

მზეზე ოქროსფრად ელვარი,
რტოს რომ სხეულზე მიჰკვრია,
გზად ამოსული ეკალი
მიწის ბოროტი ფიქრია.
ნუ შეეხები, რა იცი,
რომელ თესლისგან გაზრდილა,
გზა აუარე, გასცილდი,
ნუ მიენდობი ადვილად.
და როცა ველებს აივლი,
სად ჩიტი გალობს ნიბლია,
არ გადათელო ყვავილი,
მიწის კეთილი ფიქრია.

### ღამე

ოთახს ღამე ავსებდა,
გულს მორევი ფიქრების,
სულს სიცივე ათოვდა,
როგორც თოვლის ფიფქები.
გული დილას ელოდა,
თვალს სწყუროდა ნათელი
და შანდალზე დნებოდა
თაფლის წმინდა სანთელი.
ოცნებები ქრებოდნენ,
გამოვალე დარაბა,
ცის ვარსკვლავნი გამოჩნდნენ,
ღმერთო, რა პატარა ვარ!

## იმერი ხარაძე

### ს უ რ ა თ ი

ოდა სახლი. ტყემლის ჩრდილი. ეზო.
ჰურის თავზე გადმოხრილი ლელვი...
ყველაფერი იმერული ეგზომ...
ჰინჰილები სთვლემენ ნალვინევი...

ომბალოთი მოქარგული არე...
ჰასთან ციცინათელების გუნდი...
ბილიკ-ბილიკ მიდის სავსე მთვარე,
ჩაის მკრეფავ ქალის მზისფერ
ქუდით...

## ნათელა მამარდაშვილი

### ჩემი ტვირთი

მესმის ძახილი მამა-პაპათა,
მამა-პაპათა ჩურჩული მესმის,
ვრგძნობ, როგორ კვნესის ძალში
სანათა,
ჩემი ფიქრები მის ცრემლებს
ერთვის...
ვგრძნობ, რა დიდია საუფლო ჩემი,
რა მძიმე ვალი დამაწვა მხრებზე,
მივიკვლევ გზას და მტკიცე ნაბიჯით,
მეც ჩემი ტვირთი გადამაქვს
მთებზე...

* * *

მოვჯავდოვდები
სიმართლით და
სიტყვის მარილით,
მე სულ მცირედით,
სულ მცირედით
მოვიხიბლები,
ოღონდ ამღერდეს
ლურჯი დილა
ზეცის ნამივით,
ოღონდ გაბრწყინდეს
თეთრი იმედი.
ეს დედამიწა
მშობლიური
ჩემი სახლია,
შიგ ჩემი სულის
მობრიალე
ცეცხლი მარხია,
კი არ მარხია,
მიირწევა
ლამაზ მდინარედ
და... ვარ წყალუხვი,
და ვარ მდიდარი.

## ნელი ჩაჩავა

### დედულეთში

ვმაღლდები,
ვმაღლდები,
ვმაღლდები,
ჩემს დედულეთში ვლაღდები,
შენ, ჩემო ციხევ ქალაქო,
ზევიდან დავცქერი ბარაკონს.

აქ რომ ცისარტყელა ჩაივლის,
ჭრელია ვით შენი შაირი.
ვმაღლდები,
ვმაღლდები,
ვმაღლდები,
და მთებთან ალერსი მომინდა
ჩემს დედულეთში ვლაღდები,
სიცოცხლე ხელახლა მოვიდა!

## ნუნუ შალვაშვილი

### გული მაინც...

შემიძლია, რომ ავღელდე
სიყვარულის ზღვად,
შემიძლია, ცის თაღს შევწვდე,
ალვიმართო მთად,
შემიძლია, ცეცხლში ჩავდგე
გაჭირვების წამს,
შემიძლია, რომ ვეფარო
მამულს მტრობის ჟამს...
გული მაინც ქალის მაქვს და
ო, ნუ მატკენთ მას!

# მართლაც ასეთი მწამს კომუნისტი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონება

მოგონება წარსულის გახსენებაა, მისი გაცოცხლება, დღევანდელი შუქით გაბრწყინება. ჩვენს წინაშე სწორედ ასეთი შუქით ბრწყინდება პარტიული და საზოგადო მოღვაწე, პრინციპული მარქსისტ-ლენინელი ერიკ ბედია.

ერიკ ბედია დაიბადა 1901 წელს, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბომბოთში. იგი 18 წლისა იყო როცა კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა.

ერიკ ბედიამ თავის ცხოვრების მოკლე დროის განმავლობაში პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის სასახელო გზა განვლო: აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქ. კპ ცკ-ის განყოფილების გამგე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლენინიზმის კათედრის გამგე, გაზეთ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორი... აი, ასეთია მისი მოღვაწეობის არასრული ჩამოთვლა.

ერიკ ბედია იყო ღრმად ერუდირებული პიროვნება. იგი ბრწყინვალედ ერკვეოდა პარტიულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. მისი ლექციები და მოხსენებები ყოველთვის ფართოდ იზიდავდა მსმენელებს; ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ერიკ ბედია ხშირად აქვეყნებდა უაღრესად საინტერესო სტატიებს; მან დიდი მუშაობა ჩაატარა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხების შესწავლა-დამუშავებაში. უბრალოება, თავმდაბლობა, გულისხმიერება, ობიექტურობა, მომთხოვნელობა, პრინციპულობა, — ასეთი თვისებებით იყო ერიკ ბედია ცნობილი. კომუნისტის ამ მაღალი თვისებით მან დიდი სიყვარული დაიმსახურა პარტიულ და უპარტიო მასებში.

ეს იყო 1928 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. მე და ჩემი მეგობრები სამუშაოს ძებნას შევუდექით. აღრიცხვაზე გავტარდით შრომის ბირჟაში, რომელიც მოთავსებული იყო ახლანდელი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში.

კომკავშირის წევრებს გვირჩიეს, მივვემართა კომკავშირის ან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. მე პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვარჩიე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ხშირი „სტუმარი" გავხდი. მათამამებდა მისი გამგის ამხანაგ ერიკ ბედიას გულითადობა.

კაბინეტის კარს შევაღებდი. თუ ბევრი ხალხი ჰყავდა, დაველოდებოდი, რიგს დავიკავებდი.

პირველი მიღების დროს ამხანაგი ბედია დაინტერესდა ჩემი ვინაობით, ისიც მკითხა, კიდევ ვის მიმართე სამუშაოზე მოსაწყობადო.

— მეტად რთულ დავალებას იძლევი, — ღიმილით მითხრა მან, — ჩვენ პარტიის ბევრი წევრი დიდი ხანია უმუშევარი გვყავს, მაგრამ დახმარებას მაინც შევეცდები.

1929 წლის გაზაფხული იყო, ერიკ ბედიას ვაცნობე, აუშაობა უკვე დავიწყე-მეთქი.

— ახლა რაღა გნებავს? — მკითხა ჩემმა მოსაუბრემ.

ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ ბედიას სითბომ, მისმა ყურადღებამ და ჩვეულმა გულითადობამ ისევ გამათამამა.

— ვამზადებ „ინგლისური ენის დამხმარე სახელმძღვანელოს"; გთხოვთ დამეხმაროთ გამოცემაში.

დავამთავრე თუ არა თხოვნა, დაძაბული შევაცქერდი მას. უარს მეტყვის-მეთქი, ვფიქრობდი გულში და უფრო მეტად მიპყრობდა დაძაბულობა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ფიქრებში წასული ერიკ ბედია თითქოს მეუბნებოდა: „ჯერ ახალგაზრდა ხარ. გუშინ დაამთავრე უმაღლესი და უკვე სახელმძღვანელოზე ლაპარაკობ?"

ბოლოს ჩვეული ღიმილით შემომხედა და ხმადაბლა მითხრა:

— ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო. მოიტანე შენი ნაშრომი და მერე ვილაპარაკოთ.

ცხადია, ამ სიტყვებმა აღმაფრთოვანა, მაშინვე წამოვხტი სკამიდან, მოსაუბრეს დავემშვიდობე და შინისკენ მოვკურცხლე.

შევუდექი სამზადისს.

სახელმძღვანელო თავდაპირველად გათვალისწინებული მქონდა მთლიანად საკუთარი მასალებით შემედგინა, მაგრამ ვინაიდან დრო ცოტა მქონდა, მასში შევიტანე ზოგიერთი სხვა მასალაც.

იმავე წლის სექტემბერში სახელმძღვანელო ხელნაწერის სახით უკვე მზად მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ისევ მივაშურე ერიკ ბედიას. იგი ადგილზე დამხვდა. ოთხი თვის შემდეგ უმალ ვერც მიცნო.

რა გინდაო, ისევ ძველებურად შემეკითხა. მოვახსენე, რომ შევადგინე „ინგლისური ენის დამხმარე სახელმძღვანელო"; თქვენი დაპირების თანახმად, გთხოვთ დამეხმაროთ მის გამოცემაში-მეთქი.

ერიკ ბედიამ ხელნაწერი გამომართვა, დიდხანს ათვალიერა, შემდეგ დაკეცა, თავფურცელს რაღაც წააწერა, გადმომცა და მითხრა:

— სახელგამის გამგეს ბარონ ბიბინეიშვილს წაუღე.

ის-ის იყო წამოსვლას ვაპირებდი, რომ შემაჩერა:

— შენ ბიბინეიშვილს არ იცნობ. ახლავე მე დავურეკავ.

აიღო ყურმილი, ნომრები აკრიფა და მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— ამხანაგო ბარონ, შენთან მოვა ერთი ახალგაზრდა, გვარად ნუცუბიძე. სახელმძღვანელო შეადგინა, ნახეთ, ყოველმხრივ გაეცანით და თუ საჭიროდ დაინახავთ, დაბეჭდეთ.

ავედი სახელგამის მეორე სართულზე, დირექტორის კაბინეტის კარი შევაღე. ბ. ბიბინეიშვილი საშუალო ტანის, მეტად სიმპათიური გარეგნობის კაცი იყო. ხელი ჩამომართვა, ხელნაწერი მთხოვა, მანიშნა დაჯექიო და წიგნს თვალიერება დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ ღილაკს თითი დააჭირა. კაბინეტში მალე ვიღაც მაღალი ტანის კაცი შემოვიდა. შემდეგ გავიგე, რომ იგი იყო პავლე საყვარელიძე — „დიდ" პავლედ წოდებული, იყო მეორე „დიდი" პავლე საყვარელიძეც, მწერალი.

ბარონ ბიბინეიშვილმა ჩემი ხელნაწერი ახლადმოსულს გადასცა. ამის შემდეგ ხელნაწერი სარეცენზიოდ გაგზავნეს უცხო ენათა ინსტიტუტში.

რეცენზენტი წერდა: წიგნი, როგორც „დამხმარე სახელმძღვანელო", შეიძლება დაიბეჭდოსო.

ხელნაწერი გამოსაცემად გაგზავნეს პირველ სტამბაში, რომელიც პლეხანოვის გამზირზე მდებარეობდა. წიგნის ქართული ტექსტის რედაქტორად დანიშნეს გობრონ ციცქიშვილი, ინგლისური ტექსტის რედაქტორობა კი ჩემს მასწავლებლებს რუდენკოსა და მეგდისოვა-ჯონსონს დააკისრეს.

ასე იყო თუ ისე, წიგნი ბოლოს აიწყო; მალე მანქანაზე საბეჭდად უნდა გასულიყო, მაგრამ მოულოდნელად მოხდა უსიამოვნო ამბავი.

ერთ დღეს პავლე საყვარელიძემ მიმიხმო თავისთან და მაცნობა, რომ საქართველოს განათლების კომისარმა დავით კანდელაკმა შენი წიგნის გამოშვება შეაჩერაო. ამის მიზეზი თურმე ის იყო, რომ წიგნი განათლების კომისარიატის მიერ არ იყო ვიზირებული და გამოსაცემად ნებადართული.

ადვილი წარმოსადგენია, რა ხასიათზე დავდგებოდი. ახლა კომისარი უნდა დამერწმუნებია, რომ „ინგლისური ენის დამხმარე სახელმძღვანელოს" გამოცემა საჭიროა და აუცილებელი. მაგრამ შევძლებდი კი ამას?!

ერთადერთი გამოსავალი ისევ ერიკ ბედია იყო. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მივაშურე. შევედი ერიკ ბედიას კაბინეტში და წიგნის მთელი ანაბეჭდები წარვუდგინე.

განყოფილების გამგემ ყურადღებით მომისმინა, მერე კი უჩვეულო მშრალი ხმით მითხრა:

— ამ საკითხზე ამხანაგ კანდელაკს მიმართეთ.

ასეთ პასუხს არ მოველოდი, კინაღამ ენა ჩამივარდა. აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. დაახლოებით ხუთი წუთი მდუმარედ ვიჯექი. ბოლოს სული მოვითქვი და მუდარით წარმოვთქვი:

— გთხოვთ, უმორჩილესად გთხოვთ, ამხანაგო ერიკ, დამეხმარეთ!

იგი უხმოდ დასწვდა ტელეფონის ყურმილს, განათლების კომისარს ესაუბრა და ახლა უკვე ჩვეული ღიმილით მითხრა:

— ახლავე წადი კანდელაკთან, გელოდება.

კომისარმა ჩემს მისვლისთანავე მისცა წიგნს დაბეჭდვის ვიზა.

და აი, 1930 წლის მაისში იგი გამოქვეყნდა 10 ათასი ტირაჟით.

წიგნი გამოსვლისთანავე სათანადო წარწერებით ვუსახსოვრე მეგობრებს და ახლო ნაცნობებს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველი იყო ერიკ ბედია.

წიგნის გამოსვლიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ თავისთან მიხმო ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა დავით დოლიძემ. მან მაცნობა, შენს შესახებ ამხანაგი ერიკ ბედია მესაუბრა და თუ თანახმა იქნები, ჩვენთან ასპირანტურაში ჩაგრიცხავო.

ამ წინადადებას მაშინვე დავეთანხმე. ჩემს ცხოვრებაში დაიწყო მეცნიერული მოღვაწეობის ხანა, რომელზეც ხალხის უანგარო მსახურმა, კომუნისტური პარტიის ერთგულმა შვილმა ერიკ ბედიამ დამაყენა.

1937 წელს ერიკ ბედიასთან ერთად მომიხდა მუშაობა. იგი იმ პერიოდში გაზეთ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორი იყო. მე საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. ამ სამშობლოსა და ხალხისთვის თავდადებულ ადამიანთან მუშაობა ნათელ მოგონებად დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

ჩემი მაგალითი ერთადერთი როდია. ამხანაგ ერიკ ბედიას დახმარებით მაშინ ბევრმა ახალგაზრდამ გაიკვლია გზა ცხოვრებაში.

ყველა, ვისაც ერიკ ბედიასთან უმუშავნია და ახლოს იცნობდა, უდიდესი პატივისცემით იგონებს მის მაღალ კომუნისტურ თვისებებს — ღრმა ერუდირებას, გულისხმიერებას, თავმდაბლობას, უბრალოებას, პრინციპულობას. სწორედ ასეთ კომუნისტზე შეეძლო ეთქვა პოეტს:

> აი ასეთი, დიახ ასეთი —
> მართლაც ასეთი მწამს
> კომუნისტი!

პროფ. **აპოლონ ნუცუბიძე.**

# მიხა

თამაზ ბიბილური



მოთხრობა

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ბინდდებოდა, როცა კალატოზ მიხას სახლთან ბიჭმა დაიძახა და მიხა იკითხა, ბიჭი სხვა სოფლიდან გადმოსულიყო, დაღამებამდე უკანვე აპირებდა გაბრუნებას და მიხას ცოლს, ლაბუა ჩიტივით დედაკაცს, — ნატოს შესჩიოდა, ეხლავე თუ არა ვნახე, დამიღამდება და დღიურ ველარ გადავალ შინაო; ვერა ხედავ, შებო, რა ყინვები დაიჭირა, ალმართები მაქ ასავლელი, ფეხი სადმე გამიცურდება და რაღა ვქნაო. ნატო ბებომ ბიჭი შინ შეიყვანა, გაათბო, ვაშლი გამოუტანა, აბა ერთი არაყი გადახუხეო, — ჭიქა მიაწოდა და ანუგეშა, — მიხა საცაა მოვა, ჩვენებიანთ ლადოს კედელი ჰქონია ამოსაყვანი, არ იცი, რა უკუღმართია ლადო, რაღა ამ ყინვაში მოუნდა, კაცი წუხელ მთელი ღამე ახველებდაო; როგორც კი დაბინდდება, საქმეზე ხელს აიღებს და პირდაპირ შინ წამოვა, განა ზოგიერთი კალატოზივით ხელადას დაიდგამს გვერდზე და დილამდე გააბამსო, თუმნის საქმეს რო აკეთებენ და სამი თუმნისას კიდე მუცელში ჩაიყრიანო...

ბიჭმა არაყი გადაჰკრა, ვაშლი ჩაკბიჩა და გამხიარულდა: ეს რა კარგი ვაშლა-ბებო ყოფილხარ, აბა ერთი შენც გადაჰკარ და ეგ ლოყები უფრო დაგიწითლდებაო...

— ვაშლა-ბებო კი არა ვარ, ნატო-ბებო ვარ, ნატო მქვიანო, — ქოქოლა მიაყარა დედაბერმა.

— ვაშლა-ბებო ხარ, მაშ რა ხარო, — ახითხითდა ბიჭი, თურაშაული ვაშლივით ერთიბეწო ხარ და ლოყებდაბრაწულიო, თუ მიხაც ეგეთი კარგი კაცია, აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი, შვილად მიგულეთო...

— შენ კი გამასხრდიო, — გაუცინა ნატო ბებომ, — არაყი რო გადაჰკარი, გული ამოგიჯდა, თორემ რა ჩემი დედობა გინდა და რა მიხას მამობა, ეხლა შენ თვითონ უნდა იყო მამაო; თუ აღარ დაგიშლია, შვილათაც მიგიღებ, მაგრამ განა შვილები არა მყავსო, ორი იმისთანა ბიჭი გავზარდე, ქვეყანას ესახელებიანო; არ გაგიგია? არ იცნობო?

— არ ვიცნობო...

— არც მიხას იცნობ, ბიჭოო?

— არც მიხასაო...

— მაშ რამ გადმოგიყვანა ამ შუა ზამთარში, რაში დაგჭირდა ჩემი ბებერი მიხაო... რაღა თქმა გინდა, ისედაც ვიცი, საკალატოზო საქმე გექნებაო...

ამ ყოფა-ყოფაში და მხიარულებაში იყვნენ და, მართლა, ის იყო დაბინდდა კიდეც, რომ ჭიშკარს მიხა მოადგა, ეზო გადმოიარა, ბოხჩა საჩეხში, ბოძზე ჩამოკიდა, შინ შევიდა და სტუმარს „გამარჯობა" უთხრა.

* * *

— თოხლიაურელი ვარ, — ამბობს სტუმარი ბიჭი.

— ჩვენი ყოფილხარ, თოხლიაურიც აქვეა... — ეუბნება მიხა.

— დათვმა ვანომ გამამგზავნა, ბრიგადელათ რო მუშაობს.

— მე რომ სახლი ავუშენე?

— ჰო, შენ რომ სახლი აუშენე.

— რა გაუჭირდა, ხო არ დაინგრა სახლი?

— სახლს რა დაანგრევდა კაცო, ბაღდი ჰყავ ავათ?

— რომელი?

— სულ პატარა, ნაბოლარა...

— დაიცა, რა ჰქვია... დაიცა გავიხსენო...

— ღმერთო გაახსენე! — ბუტბუტებს ვაშლა ბებოც.

— ხო, გოგია-ბიჭი! — იხსენებს მიხა.

— გცოდნია, კაცო!

— კარგი ბაღდია, ცოცხალი!

— ხოდა გამამგზავნეს... არცა ჭამსო, არცა სვამსო... არც ნემსს იკეთებსო... ექთანი თუ დაინახა, იმალებაო...

— უყურეთ იმასა...

— ბიჭი იმალებაო, შვილო? — საუბარში ერევა ნატო ბებო.

— ხო, გოგია-ბიჭი, ნაბოლარა.

— რომლისაა გოგია-ბიჭი?

— დათვი-ვანოს ბიჭია, ბებო, ბრიგადელისა!...

— მერე? რა დაგაბარეს, რა გამოგატანონო?

— ხო, რა დაგაბარეს, ხეჭეჭური ენდომებათ, ხეჭეჭური ჩვენლა გვიდგა, — ამბობს მიხა.

— გავუგზავნოთ, გეთაყვათ, ხეჭეჭურსაც გავუგზავნით და ვაშლსაც. ჩვენისთანა ვაშლი კი უდგა ვინმესა? — ამბობს ბებო.

— ხეჭეჭური კი არა, მიხა გადმოვიდესო...

— მიხა რაღათაო?

— ეგრე უთქვამს ბაღდსა...

— ბაღდს უთქვამს, კაცო? — უხარია მიხას.

— თურმე ველარ გადაათქმევინეს... მიხა პაპა მამიყვანეთო...

— მიხა პაპაო, კაცო? არ დავავიწყდი?

— ეგრე, მიხა პაპა მამიყვანეთო, სახლი რო ააშენა, ისაო...

— სახლი რომ ააშენა, ისაო? — უფრო უხარია მიხა პაპას, — არც ეს დაავიწყდა იმ მამაძაღლს?

— რათ უნდა დავიწყებოდა? — ამბობს ბებო.

— ორი წელიწადი გავიდა, კაცო...

— ორი წელიწადი რა დიდი დროა, გეთაყვათ... ორი სიზმარია...

— მაშ მართლა მიხა პაპაო? უყურე ერთი, — კიდევ არ იჯერებს გახარებული მიხა და ქურქს იცვამს, — შენ ხილი გამიმზადე, დედაკაცო! ბაღდს გადავუტან... მიხა პაპაო, კაცო! მიხა პაპა მამიყვანეთო...

●

უკვე ღამეა. ცივა.
გზა ხევზე გადადის.
ხევზე ცივი ქარი ქრის.
ცაზე ვარსკვლავები ენთებიან.
მთვარე ჯერ არა ჩანს.

— საკვირველი ბაღდია, — იცინის მიხა პაპა.

— წყეული ბაღდია.

— იმისთანა რა გავუკეთე, კაცო!

— ადრეც უთქვამთ, პირზე სულ მიხა პაპა აკერიაო...

— რით მოვაწონე თავი?

— არ იცი, გათამამებული ჰყავთ და...

— ერთხელ ერთი მუჭა თხილი მივეცი.

— თხილი აკლია?

— ერთხელ მისატყეპად გამოეკიდა მამა და მივეშველე.

— უშიშარი ბაღდია...

— ხო, ძველ სახლს რო ვანგრევდით, ტირილი დაიწყო, მერცხლის ბუდე არ ჩამოშალოთო.

— აკი არც ჩამოვშალეთ!

— დავარჩინეთ... რას გვიშლიდა? სახლი მაინც აშენდებოდა...

— შემოდგომაზე მაინც ჩამოუშალეს...

— მერე? აღარ მოვიდნენ მერცხლები?



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მივიდნენ, იტრიალეს, იტრიალეს და წავიდნენ.

— ალბათ ეწყინათ...

— ეწყინათ არა...

— ერთხელ კიდევ ვირზე შევსვი...

— ვინა, ბიჭი?

— ხო... თქვენ არ შესვამთ ხოლმე ვირზე?

— რას ამბობ, კაცო! წყეული ბალღია, ერთხელ რო შესვა, ვეღარც ჩამაიყვან... ეხლაცა...

— რა, ეხლაცა?

— განა მართლა შენ უნდოდი, ჩემი წვალება უნდოდა...

მიხა ჩუმდება. ბიჭს ხმას აღარა სცემს. სწყინს, რომ გოგია-ბიჭს მიხა პაპა კი არ მონატრებია, ამ ბიჭის წვალება სდომებია და უხალისოდ მიალაჯებს. სახლები ბინდში ჩაიბუდნენ. წინ გრძელი, დათოვლილი გზაა. ბიჭს ეჩქარება, ბერიკაცს უსწრებს და თან უკან იხედება, აბა, ძალიან ხომ არ ჩამორჩაო. მიხაც ფეხს უჩქარებს და ფეხქვეშ ხრაშუნობს შეყინული თოვლი. ხევი მთავრდება და ჯაგნარი იწყება. მერე გზა პატარა მინდორზე გადის. მინდვრის იქით წარაფებია. წარაფებთან სოფელი იწყება.

— მოველით კიდეც... — ამბობს ბიჭი, გაჩერდება და მიხას უცდის.

მიხა ხმას არ იღებს.

●

ღუმელთან მინაბული დედაბერი ზის.

— გამარჯობა, თეკლე... როგორა ბრძანდებ...

თვლემაში წასული დედაბერი გამოფხიზლდება და მიხას შესცქერის.

— დაიცა, დაიცა, მიხა არა ხარ? კალატოზი მიხა...

— მიხა ვარ, მიხა...

— შენ გაიხარე, მიხავ. როგორც ჩვენ გაგვახარე... წამო დაგანახო, დილას აქეთ პირი არაფერს დააკარა... აიჩემა, მიხა პაპა მამიყვათო... საიდან გაახსენდი, გეთაყვათ...

— რატო არ უნდა გავხსენებოდი... შენ რო არ გახსენდები...

— ილაპარაკე... აქ რა ჩემი ქმარი გამოგივარდება!

— არც ის იყო ცუდი ბიჭი...

— შენ კი გჯობდა და... აი ეს ბიჭიც სულ პაპასა ჰგავს, იმიტომაც მიყვარს, გამორჩეულათ...

— კიდეც შენი გათამამებულია, — იცინის დათვი-ვანო, ჯანმაგარი ოჯახის მამა და მიხას ხელს ართმევს, — აბა, არკი უნდა შეგვეწუხებინე, მიხა ძიავ, ამ ბიჭის სურვილი იყო და ვეღარ გადაველ... მეც გაოცებასა ვარ, კაცო! გინდათ თუ არა, მიხა პაპა მამიყვანეთო...

— აბა, რა ვიცი, რით დავამახსოვრე თავი...

— აღარკი დაგივიწყა და... — იცინის დედაბერი.

— განა არა, იდგა, იდგა და მიყურებდა... ხარაჩოზეც ამოდიოდა... ვეუბნებოდი. ბიჭო არ გადავარდე-მეთქი!

— მეც არ ვეჩხუბებოდი, არ ჩამოვარდე-მეთქი? — ახლა დათვი-ვანოს ცოლი, გახუნებული სილამაზის ნინიკო გამოდის მეორე ოთახიდან. ღია კარიდან კი უკვე ბიჭის წკრიალა ხმა მოდის...

— მიხა პაპავ! მოხველი?

— აკი ავათ იყავი, შე მამაძაღლო! — იცინის დათვი-ვანო და მიხა პაპას ოთახში მიუძღვება.

ბიჭი საბანს იფარებს, მერე საბნის ერთი კუთხე ნელ-ნელა იწევა და საბნის ქვემოდან მოჩანს ბიჭის დიდი, ბრიალა თვალი.

— გამარჯობა, მიხა პაპავ! — ჩურჩულებს ბიჭი.

— გაგიმარჯოს! — ამბობს მიხა პაპა, — რას იმალები, კაცო! აბა თავი გამოყავი, სტუმარი მოვსულვარ...

ბიჭი საბანს იხდის და მიხა პაპას უღიმის.

— გამარჯობა, გოგია-ბიჭო!

გოგია-ბიჭი ისევ იღიმება და მიხა პაპას თვალს არ აშორებს.

— აჰა, ესეც შენი მიხა პაპა! — ამბობს ბებო, — აბა ნახე, რა ნაირნაირი მსხლები და ვაშლები მოუტანია... ღირსი მაინც იყო... უკან წაიღე, მიხა პაპავ, ნავსი ნიჭია, დაუჯერებელი!

— ვინა, კაცო, ვინ არი ნავსი? გოგია-ბიჭი?

— ხო, ეგ შენი გოგია-ბიჭი! არც საჭმელი უნდა, არც ნემსი და არც წამალი.

— არც საჭმელი, კაცო?

— არც საჭმელი...

— მართლა არაფერი ჭამა, კაცო?

— ხო, პირი არაფერს დააკარა.

— მიხა პაპავ, კიდე აშენებ სახლებს? — იცინის გოგია-ბიჭი.

— რატომაც არა! — ამბობს მიხა.

— იმ ზღაპრისა ისევ იცი?

— რომელი ზღაპრისა?

— აი, დევმა რომ ცხვირი დააცემინა...

— რატომაც არ ვიცი... შენ ეგ საბანი კარგად დაიფარე...

— აქეთ ჩამოჯექ, მიხავ, სამფეხა სკამზე...

— შენ ეგ საბანი კარგა დაიფარე... ხოდა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...

— იყო ერთი ნაცარქექია, — იძახის ბიჭი.

— გხსომებია, კაცო...

— იმისი, მიხა პაპავ, დევმა რო ცხვირი დააცემინა, იმისი მითხარი...

— იარა, იარა, ბევრი იარა იმ ნაცარქექიამ და დაინახა, გალმა ერთი სამოცთავიანი დევი წევს. შემოხედა ნაცარქექიას და დაუძახა: რა ხარ, რა სულიერი ხარო, ჩემი შიშით ცაზე ფრინველს ვერ გადაუფრენია, ქვესკნელში ჭიანჭველასაო და შენ ვინა ხარო?

— ამოიღო ყველი, ჩადო წყალში და დაუძახა! — ასწრებს გოგია-ბიჭი.

— ხო, მართლა, ამ ჩვენმა გოგიამ, ყველიც არა ჭამა, კაცო?

— ყველიც არა ჭამა, დღეს ამოყვანილი, უმარილო.

— აბა მოუტათ, თორე ნაცარქექია გველოდება კარებთან, მე მაჭამონო.

— იი, ეგ ხო ზღაპარია, — იცინის გოგია-ბიჭი, — მე ის კაცი ვარო, აი, ქვას მოვუჭერ ხელს და წყალს გამოვადენო. თუ ჭკუა გაქვს, გამოდი, გამიყვანეო...

— გცოდნია, კაცო, გცოდნია, — იცინის მიხა პაპა.

გოგია ბიჭიც იცინის და მიხა პაპას ეხვეწება:

— მიხა პაპავ, იქიდანა თქვი, ცხვირი რო დააცემინა.

— ხო, საღამოზე მოვიდნენ დევებიი... ნაცარქექია წევს მშვენივრათ. პური გამომცხვარია. ეგრე რათა წევხარო? იმიტომ ვწევარ რო მუცელი მტკივაო.ააყენეს. გამოიყვანეს. დასხდნენ და პურსა სჭამენ. უცებ, ბიჭოს, ერთ დევს ცხვირი დააცემინა და ეს ნაცარქექია ჭერში არ მიეკრა?! შეხედეს დევებმა, შიშით გულები დაუსკდათ. მანდ რათ ახველი, კაცოო? აქ იმიტომ ამოველი, რომ ეს თავხეები ცუდათ გაგიწყვიათო.

გოგია-ბიჭი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. საბანი გადაიხადა. ფეხები ზემოთ აიშვირა.

იქიდან დედა შემოვარდა, აქედან — მამა.

— რასა შვრებიო, განა მიხა პაპა იმიტომ მოგიყვანეთ, გადაიხადოო? თუ არ დაიხურავ, ამ წუთში ადგება და წავაო... ხო ადგები, ხო წახვალ, მიხა პაპაო?

და მიხა პაპაც ვითომც წამოდგება, ქუდს იხურავს და ჯოხს ეძებს. მაგრამ გოგია ბიჭი საბანს იფარებს და მიხა პაპასაც, მეტი რა გზა აქვს, ისევ ჯდება სამფეხა სკამზე, იქვე, ბიჭის სასთუმალთან.

— მართლა არაფერი ჭამა, კაცო? — ისევ კითხულობს მიხა პაპა.

— ხო, პირი არაფერს დააკარა... — ამბობს ბებო.

— ეგ იმიტომა რომ, ნაწყენია...

— ნაწყენი რაზეა, ბიჭო? რაც გვითხრა, ყველაფერი ავუსრულეთ, ბოლოს, ეგე, მიხა პაპა მამიყვანეთო... საიდან გაახსენდა, გეთაყვათ...

— იქიდანა, რომ, ჩვენა, ბებოვ და შვილო, ძველი ძმაკაცები ვართ, ფიცვერცხლნაჭამები.

— ფიცვერცხლნაჭამი რა არი, მიხა პაპავ?

— რაო, ფიცი არ მოგვიცია, ძმობა არ გვათქვამს? ხოდა ეხლა ვიტყვით... აბა, ვერცხლის ხანჯალი მაიტათ! — იძახის მიხა პაპა.

დათვი-ვანო და მისი ცოლი მეორე ოთახში გადიან. დათვი-ვანო მარანში ჩადის და ღვინოს იღებს. ცოლი სამწვადეს არჩევს.

— სულ ნუ გააგიჟე ეგ ბალღი, ბიჭო! — ამბობს ბებო და თან აღტაცებული თვალს არ აშორებს მიხას.

— თუ ვერცხლის ხანჯალი არა გაქვთ, მაშინ მოდით, ღვინო მოიტათ... უბრალო კი არა, საფერავი, ნამდვილი საფერავი, წარაფებისა...

— არ დაუჯერო, შვილო, მიხა პაპას გადაკვრა მოუნდა, — იცინის ბებო.

— შენ გამაიტა, ბებო... მერე ჩვენ ვიცით...

— ვინ თქვენა?

— ჩვენა... მე და გოგია-ბიჭმა.

გაამაყებული გოგია-ბიჭი ნიშნის მოგებით გადმოსცქერის ბებოს. ბებოსაც, მეტი რა გზა აქვს, მიხა პაპა სტუმარია, და სტუმრის ნათქვამზე ხელადა და პატარა ჭიქა გამოაქვს, მუცელგამობერილი, ცისფერი ჭიქა. მიხა პაპა ხელადას ართმევს. მუცელგაბერილ ჭიქაში ერთ ყლუპ ფაფასავით საფერავს ასხამს და ბებოს ეუბნება:

— ამ ჭიქით, გოგია-ბიჭმა მიხა პაპას სადღეგრძელო უნდა დალიოოს...

— როგორ იქნება, ბიჭო, მიხავ, — ამბობს ბებო და თან შეშინებული კარებისკენ იყურება, ბიჭმა და რძალმა არ გაიგონო.

მიხა პაპას თვალები უციმციმებს.

ბებოც, ვითომც ვერაფერს ვხედავო, სადღაც ქვემოთ იყურება და თან ჩურჩულებს: განა არა, მეც ვიფიქრე, ბიჭო... ვინ დაგიჯერებს? ჩემ რძალს გააგონებ რამესა?

შეთქმულება უკვე მზად არი!

გოგია-ბიჭი მაშინვე ხვდება საამო შეთქმულებას და თვალებანთებული თამაშში ებმება: საბანს იხდის. ლოგინში წამოჯდება. ხელს იწვდის და ჩურჩულებს:

— მალე, მალე...

— რძალმა არ გაიგოს, ბიჭო... — ჩურჩულებს ბებოც.

ბიჭი ართმევს მუცელგაბერილ ჭიქას, მიხა პაპას თვალს ჩაუკრავს და გადაჰკრავს.

— აბა, ჩქარა, ყველი!

— ჩქარა, პური!

— ყუა, რბილი ყუა!

— ქათმის ბარკალზე როგორა ხარ?

— კარგათა ვარ, მიხა პაპავ!

— ბარკალს მერე, ლოყაწითელი ვაშლიიი...

— ულვაშები არ გამიკეთდა, მიხა პაპავ?

— მაიწმინდე, ბიჭო, დედაშენმა არ დაგინახოს! — ჩურჩულებს ბებო.

ბიჭი თავზე საბანს იფარებს და ცოტა ხანს საბნის ქვეშ ინაბება. მერე ისევ გამოიხედავს, ხელს გადაიწვდენს, ქათმის ბეჭს იღებს და მადიანად ილუკმება.

— ეს რა ვნახე, დედავ და შვილოო! — გაოცებულია დიდედა.

მერე წითელი ვაშლებიც გორაობენ მოგვირისტებულ საბანზე.

— ერთი სადღეგრძელოც, მიხა პაპავ! — იცინის გამხიარულებული გოგია-ბიჭი.

— დახედეთ, ამ მამაიალასა, — ვითომ ჯავრობს ბებო და ისევ კარისკენ იცქირება, რძალმა და ბიჭმა არაფერი გაიგონო.

(გაგრძელება. იხ. მე-11 გვერდზე)

## წიგნის თარო

# «სიყვარული სისხლის წვიმების დროს»

ბევრი წიგნი ამართლებს მკითხველის მოლოდინს, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ, კერძოდ, თანამედროვე ქართული პროზის ისტორიამ იშვიათი შემთხვევა იცის, მწერალი თავისი პირველი წიგნით ერთბაშად და გაბედულად რომ ჩამდგარიყოს აღიარებულ, მოწინავე ოსტატთა რიგებში.

საბედნიეროდ, სწორედ ასეთი შემთხვევაა გიორგი ციციშვილის ნოველების წიგნის გამოსვლა. ამ წიგნს „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“ ჰქვია. იგი „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ციციშვილის გვარი ახალი როდია ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის, ან სარეცენზიო კრებული ავტორის პირველი წიგნი როდია. გ. ციციშვილმა ნიჭიერად დაწერილი, ღრმად ერუდირებული კაცის კვალდამჩნეული მრავალი წიგნით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

გ. ციციშვილის ნაწარმოებთა დიდ წარმატებას ჭეშმარიტი მწერლისათვის საჭირო მახვილ თვალთან, მგრძნობიარე, სათუთ გულთან, მადლიან ენასთან ერთად იმანაც შეუწყო ხელი, რომ ავტორი კარგად არის ჩახედული იმ საქმეში, თავისი ყველა მოთხრობის ერთ მთლიან, გამაერთიანებელ თემად რომ აუღია: კარგად იცნობს ომის საშინელებას, სისხლის წვიმებით მორწყულ მთასა და ველს, ჩინებულად ესმის მეომართა გულისძგერა, ხედავს მათი სულის მღელვარებას. ეს ბუნებრივიც არის: იგი დიდი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა და საკუთარ მხრებზე გადაიტანა მრისხანე ომის საშინელება, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლები ხომ მისი ცხოვრების თვალსაჩინო მონაკვეთია.

გ. ციციშვილმა დიდი მხატვრული სიმართლით დაგვიხატა სამამულო ომის ფრონტის სურათები, ზუსტად გადმოგვცა ბრძოლის ეპიზოდები. მაგრამ მარტო ეს სიზუსტე ვერაფერს მისცემდა მკითხველის სულს, ავტორს ჭეშმარიტი მწერლის ნიჭი რომ არ ჰქონდეს მომადლებული. გ. ციციშვილი, როგორც ზემოთაც ვთქვით, ღრმად სწვდება ფსიქოლოგიას საბჭოთა მებრძოლისას, რომლის გულიც ფოლადად ქცეულა იმის შეგნებით, რომ წმიდათაწმიდა და სამართლიანი საქმისათვის იბრძვის — სამშობლოს იცავს. მწერალი მარჯვედ ხმარობს კალამს. იგი მარტო ფსიქოლოგი კი არა, მხატვარიც გახლავთ. ამიტომაც არის, რომ, როცა მკითხველი მის ნაწარმოებს კითხულობს, ესთეტიკურ სიამოვნებასაც გრძნობს, რომელსაც ავტორის მადლიანი, მწყობრი, ლამაზი, კოხტად გამოკვეთილი და ბუნებრივი ქართული ფრაზა ანიჭებს, სისხლის წვიმების დღეებსაც გუშინდელ დღესავით წარმოადგენს თვალწინ. და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენს ახალგაზრდობას, რომელსაც თავისი თვალით არ უნახავს ომის დღეთა მრისხანება და საშინელება, რომელიც იმ დროს დაბადებულიც არ ყოფილა, რომ თვალი ედევნებინა სამშობლოს დამცველთა საგმირო საქმეებისათვის, აი ამ ახალგაზრდობას სარეცენზიო წიგნის წაკითხვა გულში პატრიოტიზმის ცეცხლს აღუნთებს, აცნობს ჭეშმარიტ გმირთა, სულით მდიდარ და გაუტეხელ ადამიანთა გალერეას და მაგალითს უჩვენებს როგორ უნდა უძგერდეს გული მამულისათვის. გ. ციციშვილის წიგნს დიდი აღმზრდელობითი და ესთეტიკური ღირებულება აქვს.

რომელ ნაწარმოებს იტყვით, აუღელვებლად და დაუინტერესებლად რომ შეიძლებოდეს მისი წაკითხვა! აი თუნდაც „ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი“. რა კარგად, საინტერესოდ არის გადმოცემული ლენინგრადის ბლოკადის ისტორიული დღეები, ქართველი ოფიცრის გიორგი ხვედურელისა და რუსი ქალიშვილის ლიდა კავერინას სიყვარულის ტრაგიკული ამბავი! მწერალი მოქანდაკესავით ძერწავს მებრძოლი ქალიშვილის სახესა და სულს, ქართველი ვაჟკაცის ცეცხლოვან გულს, რომელშიც უდიდეს განსაცდელსაც ვერ ჩაუქრია იმედის შუქი!

„შენც გეწვევა ჟამი სინანულისა“ ჯავშნოსანი მატარებლის და მისი მებრძოლების ფრონტულ ცხოვრებას ასახავს. ამ ცხოვრების ფონზე განსაკუთრებული სიმკვეთრით მოჩანს მარინე ნელიდოვას მხატვრული სახე, სახე სამშობლოსათვის თავგანწირული ქალიშვილისა, რომლის გულშიც ქალური კდემამოსილება, სიყვარულის ნაზი გრძნობა ვაჟკაცურ გამბედაობასა და შეუდრეკელობასთან იყო შერწყმული.

და კიდევ რომელი მოთხრობა დავასახელოთ... „პალმა ჩრდილოეთში“ გნებავთ თუ „ეჭვი“, „სანტიმენტალური შემთხვევა“ თუ „არიფანა“. ყველა ნაწარმოები კომპოზიციურად პროფესიონალი მწერლის, ოსტატის ხელით არის შეკრული; სიუჟეტები მეტად საინტერესოა, პერსონაჟთა სახეები — ცხოვრების სიმართლეს შეფარდებული, ტიპობრივი, თითქოს ფერმწერლის ფუნჯით დახატული; ენა — მსუყე, ძარღვიანი, თან ნატიფი და დახვეწილი...

გ. ციციშვილის ნაწარმოებთა ძირითადი ფონი სამართლიან ომში ჩვენი ხალხის გმირული და შეუპოვარი ბრძოლაა. წიგნს წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ ადამიანი სისხლის წვიმების დროსაც ადამიანია, რომელსაც თავისი სიმართლის რწმენა ფრთებს ასხამს, სიყვარულის უწმინდესი გრძნობა კი ჭირშიც და ლხინშიც აღამაღლებს და ასალკლდევებს...

**ალექსანდრე ბეგაშვილი.**

## ჩვენი გამარჯვებანი

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს სიხარულით აევსო გული, როცა შეიტყვეს, რომ მედეა ამირანაშვილს და ლამარა ჭყონიას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭათ.

ლამარა ჭყონიას და მედეა ამირანაშვილს კარგად იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მათ საამო ხმას, შესრულების მაღალ ტექნიკას, დახვეწილ არტისტიზმს აღტაცებით უკრავდნენ ტაშს პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, საფრანგეთში, ფინეთში, ინდონეზიაში, კანადაში...

ჩვენმა ორივე სასიქადულო მომღერალმა იაპონიაში მიიღო უმაღლესი საშემსრულებლო ჯილდო — პუჩინის ოპერა „ჩიო-ჩიო-სანში“ მადამ ბატერფლაის სცენური სახისა და ვოკალური პარტიის ბრწყინვალედ განსახიერებისათვის.

„კარმენი“ და „ფაუსტი“, „ევგენი ონეგინი“ და „ჩიო-ჩიო-სანი“, „დონ-პასკუალე“ და „აბესალომ და ეთერი“, „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „დაისი“ — აი, არასრული სია იმ ოპერებისა, რომლებშიც მედეა და ლამარა საუკეთესო შემსრულებლებად მოგვევლინენ.

— როგორც სცენური, ისე ვოკალური სრულყოფის მიუხედავად, მე არ მახსოვს მათი თვითკმაყოფილება; ისინი ყოველთვის არიან ძიებაში, ახლისაკენ სწრაფვაში, — ამბობს მედეას და ლამარას პარტნიორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე.

საპატიო წოდება მათ მეტი მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს.

გვჯერა, ჩვენი საყვარელი მომღერლები ლამარა ჭყონია და მედეა ამირანაშვილი კვლავაც ბევრჯერ გაგვიხარებენ გულს, კვლავაც ბევრჯერ დაატკბობენ მათი თაყვანისმცემლების სმენასა და თვალს.

ისღა დაგვრჩენია, ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან ერთად, მაღალი წოდება მივულოცოთ მედეა ამირანაშვილს და ლამარა ჭყონიას, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებულ შენობაში ახალი თვალსაჩინო წარმატებების მოპოვება ვუსურვოთ მათ.

**ნუნუ კუპრეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის სახალხო არტისტი
მედეა ამირანაშვილი



სსრ კავშირის სახალხო არტისტი
ლამარა ჭყონია

თარხან არჩვაძის ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნანა ქუსხიძე

დედა.







# ჯუჯა მაჭაძე

- სიცოცხლის ხე.
- რთველში.
- დეკორატიული მოტივი.
- მთიელი მეცხოველეები.





შველი.

ნიკო ფიროსმანის ნახატი.

(დასასრული).

— დახეთ, ამ მამაძაღლს! როგორ ილუკმება... — ოთახში მხიარულად შემოდის დათვი-ვანო და ახლა ცოლს ეძახის, — მოდი, ნახე, რა მადიანად ილუკმებაო.

ყველანი ბიჭთან გროვდებიან და დარცხვენილი გოგია-ბიჭი თავზე ისევ საბანს იფარებს.

მიხა პაპა საბანში ხელსა ჰყოფს და გოგია-ბიჭს ეუბნება:

— აგე, მთვარეც მოგვადგა... გინდათ თუ არა, გოგია-ბიჭი დამანახვეთ, როგორ არიო... გაალეთ, ხალხნო, ფანჯარა, მთვარეს დაანახვეთ გოგია-ბიჭი!

ფანჯარას აღებენ.

მიხა პაპას უარს ველარავინ ეუბნება.

და ისიც, როგორც გამოცდილი მეურმე, მხიარულ ურემს წინ მიუძღვის.

სარკმლიდან იხედება მთვარე.

დასიცხულ ოთახში შემოდის ზამთრის ღამის სიგრილე.

გოგია-ბიჭი წამოჯდება და სარკმლისაკენ იყურება.

უცებ მთვარე ღრუბლის ნაფლეთს მოეფარება და მიხა პაპა ამბობს:

— მთვარე გაბრაზდა, გოგია-ბიჭმა ხელები ამოიღო საბნიდანაო და ღრუბელს მოეფარა.

— ისევ გამოვა, მიხა პაპავ! ნუ გეშინია! — იძახის გოგია-ბიჭი.

და მთვარე კვლავ გამოდის ღრუბლიდან.

გოგია ბიჭი წევს და უყურებს მთვარეს.

— ეგე, იცინის მთვარე! — ამბობს მიხა პაპა.

— იცინის არა...

— აბა კარგად დააკვირდი, თუ არ იცინის... რა კარგი ბიჭი ყოფილა გოგიაო, რა ყოჩაღი ბიჭიაო, რა გულადიაო... არაფრისაც არ ეშინიაო... ერთი ყუა შოთი გადაყლაპა და ახალი ყველიც ზედ მიაყოლაო.

— მართლა იცინის, მიხა პაპავ... — იცინის გოგია-ბიჭიც.

— აკი გითხარი, იცინის მეთქი... აგე, კბილები... აგე კიდევა თვალები და წარბები. ეხლა საბანი კარგათ დაიხურე... ეხლა თვალები დავხუჭოთ და დავიძინოოთ...

— შენც აქ დაიძინებ, მიხა პაპავ?

— მაშა, მეც აქ დავიძინებ. დავიძინოთ და მთვარეზე გავფრინდეეთ...

— თუ დავიძინებთ, მთვარეზე როგორღა გავფრინდებით?

— ძილში ერთ ტკბილ სიზმარსა ვნახავთ და იმ ტკბილ სიზმარში გავფრინდებით. მთვარეზე სიზმარში თუ წავა კაცი...

— ის სიზმარში იყო?

— რომელი?

— ამწინებზე რო გამოჩნდა, ტელევიზორში.

— ისიც ჯერ სიზმარში გაფრინდა, როცა ნორჩ...

— ნოდენა იყო! მერე ცხადლივ, როცა დიდი ბიჭი გახდა. აბა ეხლა დავიძინოთ და გავფრინდეეთ!

გოგია-ბიჭმა თვალები დახუჭა. ფანჯარა მიხურეს. სარკმელზე ფარდა ჩამოაფარეს. სინათლე ჩააქრეს და მიყუჩდნენ. მარტო ბებო ლაპარაკობდა ჩურჩულით და იმასაც ანიშნეს, გაჩუმდი, ვერა ხედავ, ბიჭმა თვალი მილულა, იქნებ ჩაეძინოს და წუხანდელივით ღამე თეთრად არ გაგვათენებინოსო. ბებოც გაჩუმდა და ახლა მარტო თუნუქის ღუმელიღა გუგუნებდა. ღუმელის კარის ღრიჭოდან ცეცხლის ენები მოძვრებოდნენ და ოთახის კედლებზე დევსოდენა აჩრდილები დადიოდნენ.

— უცებ დევმა ცხვირი დააცემინა. და ეს ჩვენი ნაცარქექია ჭერში არ ავარდა?! — ჩაკუჭკუჭდა გოგია-ბიჭი სიცილით.

— ეგ რასა შვრები, ბიჭო! — აჩურჩულდა ბებია, — თვალები ისევ დაჭყეტილი გაქ?

— აი, დავხუჭე, ბებო!

ოთახის კარი ჭრიალით გაიღო და მამა შემოვიდა.

— არ დაიძინა ამ მამაძაღლმა? — იკითხა მამამ.

— დავიძინე, მამი! — დაიძახა ბიჭმა.

— დაიძინა მაშა, თვალები უკვე დახუჭა! — თქვა მიხა პაპამ.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე... — დაიჩურჩულა ბებომ.

ცოტა ხანიც და გოგია-ბიჭს ტკბილად ჩაეძინა.

ბიჭი მთვარეზე მიფრინავდა.

●

— მე შინ წავალ, დილაზე ადრე ვარ გასასვლელი, — ჩურჩულებს მიხა, — კედელი უნდა მოვუთავო ჩვენებიანთ ლადოსა.

— აბა, ეხლა, ამ ყიამეთში, ამ შუაღამისას, შინ როგორ გაგიშვებთ, — ამბობს ბებო. ახლა დათვი-ვანო იტყვის, რის წასვლა, რა წასვლა, სუფრა უკვე გავშალეთო, შუაღამემდე ტკბილად ვილაპარაკოთ, ცოტა დავლიოთ, ბევრი არაო; შენი აშენებულია ეს სახლი და ერთი ღამე მაინც არ უნდა გაათენო ამ ჭერქვეშო? ღამე დიდია, ძილსაც მეესწრები და შენი ხელის ამბავი რო ვიცი, ის კედელიც ამოუყვანელი არ დაგრჩებაო. მაგრამ მიხა თავისაზეა: კაცი მელოდება დილაზე, უთენია მელოდება, პირს ვერ გავუტეხო. რა ვქნა, არ მეთმობით, თქვენი ღვინის ამბავიც ხო ვიცი, მაგით ერთი კარგა გამოთრობას არაფერი მირჩევნია, მაგრამ ესეც სხვა დროს იყოსო... რა შორს მე ვარ, ერთი სოფელი გვყოფს, მეტი ხო არაო. მაინც ამ ბალღისა მიკვირს, რით დამიმახსოვრა, ან რათ მიკითხა, კაცოო! რა გავუკეთე იმისთანა, რითი გავახარეო?

— იი, არ იცი, ბალღია... — ამბობს დიდედა.

— ეს როგორი ბიჭი იყო, დედი? — იცინის დათვი-ვანო.

— ვინა, მიხა? პირზე სულ ნათელი ეფინა...

— გულში ხო არა გყავდა ამორჩეული?

— ჩემი დარდი ჰქონდა! გოგოები ჩიტებივით ეხვეოდნენ...

— აბა რა პატივი გეცით, მიხა ძიავ, — წელში ილუნება დათვი-ვანო და ქუდს ხელში ჰმუჭნის.

— მე თავმკვდარი, სტუმრის ეგრე გაშვება გაგონილა და თქმულა! — ამბობს დიდედა.

დათვი-ვანო ცოლს რაღაცას ანიშნებს.

ცოლი მაშინვე გარეთ გადის.

მიხა ჯოხს იღებს და ბიჭს გადახედავს.

ბიჭს კვლავ ტკბილად სძინავს.

ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ და ჩუმად, ფეხაკრეფით გარეთ გადიან.

ოთახში მარტო მძინარე გოგია-ბიჭი და თბილი, გუგუნა ღუმელი რჩება.

— რა ცივი უარი გვითხარი, მიხა ძიავ, რომელი პურაძვირი კაცი მე მნახეო, — თავისას არ იშლის დათვი-ვანო, — ერთი ჭიქა მაინც დაგვილიე, ერთი საფერავი გადაჰკარ, ამ ყინვაში კარგა დიდი გზაა გასავლელი, ძარღვებს გაგითბობსო...

საფერავის ხსენებაზე მიხას ეღიმება და დათვი-ვანოც მაშინვე მიხვდება, საჩემოზე მოვიყვანეო. მიხვდება და ცოლს რაღაცას ანიშნებს. ცოლიც იმ წამში გაქრება და ხელადა და ჯამი, ყველი და შოთი გამოაქვს. დათვი-ვანო ჯამს მიხას აწვდის და საფერავით უვსებს. მიხა ჯამს ჩამოართმევს, ულვაშებზე ხელს გადაისვამს და იტყვის:

— ეს ბალღს გაუმარჯოსო!

— შენ დაილოცე, მიხავ, რა შადიანად დანაყრდა და უცებაც ჩაეძინაო, — ვერ ისვენებს დიდედა.

— ეგრე იცის ბიჭმაო, — ეცინება მიხას.

მიხას პირის პატიჟი არ უყვარს და გამოცლილ ჯამს გაიწვდის, — დამისხითო.

ვიდრე დაუსხამენ, პურითა და ყველით ილუკმება.

ჯამში რაკრაკით ჩადის საფერავი და მიხა მეორე სადღეგრძელოსაც ამბობს: ამ ოჯახს გაუმარჯოს.

ყველანი სიტყვას შეაწევენ: მადლობის მეტი რა გითხრათ, შენზე მეტიც ვის ეთქმის, შენი დადგმულია ეს სახლიო.

დიდედა ისევ არ ისვენებს და მიხას ქვემოდან შესცქერის: მაინც რა გული გაქ მიხავ, რა ჩაიფიქრე იმისთანა, რომ ეს ბალღი ჩიტივით ააჭიკჭიკეო, სამი დღეა თვალებში შევყურებთ და ხმა ვერ ამოვაღებინეთო. აკი კულავაც ვამბობდი, ქრისტესავით კაცი ხარო.

მიხას უფრო ეშმაკურად უცინის თვალები, ცოტა შეჭიკჭიკებულა, ორ ჯამ საფერავს თავისი ნაპერწკლები დაუნთია და რაღა პატიჟი სჭირდება, გინდა თუ არა. ღმერთი სამობით არი და

# ფიროსმანი

ერთ ზაფხულს, ეს იყო 1949 წელს, საგარაკოდ სოფელ გლდანში გავემგზავრეთ. გზად მოხუცი ქალი შემოგვხვდა და შემოგვთავაზა, მასთან დაგვედო ბინა, ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ მისი მიწვევა.

ოთახში შეგვიძღვა, ცოტა მოისვენეთ, ახლავე გეახლებითო. ჩემი ყურადღება კედელზე ლურსმნით მიჭედილმა ნახატმა მიიპყრო. ნახატი ფიროსმანისეულად შევიცანი და მასპინძელს ვკითხე: ეს სურათი საიდან გაქვთ-მეთქი.

— ამასწინათ ჩემმა ძმამ სხვენიდან ჩამოიღო, ტყუილად რად უნდა ეგდოს, ბავშვებმა ნახონ, გაერთობიანო.

მასპინძელს ვუთხარი, რომ ეს დიდი მხატვრის ნამუშევარია და ვთხოვე, სურათი ჩემთვის დაეთმო.

— აბა, რა ვიცი, პაპოლსკის ვკითხავ! — თქვა მან და ძმას უხმო; ყოფილმა მამასახლისმა, ჯარში რომ ცოტაოდენი პოლონური ესწავლა და სოფელს პაპოლსკიდ მოენათლა, გაიხსენა: ეს შველი „თეთრი დუქნიდან“ წამოვიღეო.

მისმა სიტყვებმა უფრო დამარწმუნეს, რომ სურათი ფიროსმანს ეკუთვნოდა.

— წაიღეთ, ბავშვები უამისოდაც გაძლებენ, — მითხრა მან და ნახატი კედლიდან ჩამოხსნა.

მას შემდეგ „შველი“ ჩვენი ოჯახის მშვენებაა.

გთავაზობთ სურათის რეპროდუქციას (ქვეყნდება პირველად).

**თამარ ციციშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი.

მესამე ჯამიც უნდა გაგივსოთო, თითონვე, უთქმელად იწვდის ჯამს და მესამე ჯამიც ივსება.

ღამეში ღვინის რაკრაკი ისმის და მთვარეც საფერავით სავსე ჯამში იხედება.

— ეს წამსვლელ-დამრჩომს გაუმარჯოსო, — ამბობს მიხა და სულ სიცილად გადაქცეულა, — ამ ოჯახსაც გაუმარჯოს და იმ ოჯახსაც, ეხლა სადაც მივდივარო, ჩემ დედაკაც გაუმარჯოს, იმან რაღა დააშავა, ეხლა თუ არ იძინებს და გზას გამოსცქერსო...

დიდედა ისევ ვერ ისვენებს, — დახეთ, დახეთ, ღვინომ როგორ ამოუდგა ენაო, თუ დედაკაციც არ ახსენო, არ მოისვენოო, თაობითვე ეგრე იყავი, ერთი თუ ჩაგივარდებოდა გულში, სხვა აღარავინ გაგონდებოდაო...

დიდედა იცინის. მიხაც იცინის. მთელი ჯალაბი იცინის და ერთად, სიცილით მიდიან ჭიშკრისაკენ.

ლადოს ცოლს მორიდებით გამოაქვს წნელის კალათი. კალათიდან თავი ამაყად ამოუყვია ფუჩეჩიან ხელადას.

— არადა არაო! — ხელს აიქნევს მიხა, კალათის დანახვაზე ფეხს აუჩქარებს და ეზოში ჩადის. მასპინძლები მისდევენ, ოჯახის მამა — დათვი-ვანო წინ გადაუდგება და ეხვეწება: თავს ნუ მჭრი, მიხავ, განა შორეული ხარ, ჩვენიანი ხარ, გეკუთვნისო. ჩვენი ღვინისა მოგწონს, თორემ სხვა რა გვრჯიდაო. ცოტა სამწვადესაც გატანთ, ეხლახანს დავკალით ღორი, ამ ბიჭმა ჩაგვიშხამა თორემ, დაპატიჟება სხვაფრივაც გვინდოდაო.

მაგრამ ფეხაჩქარებული მიხა უკან აღარ იხედება, თითქოს ეშინია, არ დემეწიონ, ძალით არ ამკიდონ ეს კალათაო.

— თაჲი დაანებეთ, მე ვიცი მაგის ხასიათი, — ამბობს დიდედა.

მიხა უკვე ორღობეში გასულა და იქიდან ემშვიდობება ეზოში თავმოყრილ ჯალაბს.



— ბიჭო, მიხავ! — ეძახის დიდედა, — ახალწლისთვის მეკვლეთ გადმოდი, უწყინარი კაცი ხარ, კეთილი ფეხი გექნება!

— კარგი, ეგრე იყოს!

— არ დაგავიწყდეს, იცოდე!

— არ დამავიწყდება...

— მე ვიცი... — მოუბრუნდება ბებო ჯალაბს.

— ე რა კაცია, კაცო...

— მაგის ამბავი მე მკითხეთ...

— სახლ რო ვაშენებდით, მაშინაც ეგრე არ იყო?

— თაობითვე ეგრე იყო...

მთვარე ისევ გაბადრული ანათებს. ვარსკვლავები ისევ ცივად ჟიკჟიკებენ. სოფელს სძინავს. სიჩუმეში მხოლოდ დათოვლილ ორღობეში მიმავალი მიხას ფეხის ხრაშა-ხრუში ისმის. ქვემოთ ძაღლი აყეფდება. მიხა ხმას არა სცემს და ის ძაღლიც მიჩუმდება. ჯალაბი ისევ დგას და ღამის სიჩუმეს უსმენს.

და უეცრად, შუაღამის სიჩუმეში დიდედას
ხმა ისმის:

— ბიჭო, მიხავ!

— ხო, რა იყო?

— აბა ყური დამიგდე!

— ხო, მითხარი!

— აბა გაიხსენე, ერთხელ შემოდგომაზე...

— ხო, ერთხელ, შემოდგომაზე...

— ფერიცვალობიდან რო მოდიოდი...

— ფერიცვალობიდან რო მოვდიოდი?

— არ გახსოვს? თავზე ვიღაცამ წყალი რო გადმოგასხა!..

— ხო! მახსოვს...

— ის მე ვიყავი, იცოდე!...

— ვიცი, შენ იყავი!.. შენი მოუგონელი რა იქნებოდა...

ჯერ ყველანი იცინიან. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდება.

დიდედა შინაურებს პირს არიდებს და შინისკენ მიდის.

და უცებ, შუაღამის სიჩუმეში, ორღობის ბოლოდან ახლა მიხას ხმა ისმის.

დიდედა კიბეზე ჩერდება და მოლოდინით ავსილი მისჩერებია ღამეს.

— გოგო, თეკლეე!

— ხოო!

— აბა, მიგდებ ყურსა?

— მაშა, მაშა!

— კვირაცხოვლობიდან რო მოდიოდით, შუაღამისას, გოგოები, ბილიკმა ტყისკენ რო გადაუხვია და ტყიდან რო ბიჭები გადმოხტდნენ...

— ხო, გულები რო დაგვიხეთქეს...

— ერთმა ბიჭმა რო გაკოცა და მემრე ტყეს შეეფარა, ის ბიჭი მე ვიყავი.

ზამთრის ღამეს ისევ სიცილი მოეფინება. ბებო იცინის, ხითხითებს და ამ ხითხითში შინ შედის.

●

გზაზე მარტო მიხა მიდის.

გოგია ბიჭს ტკბილად სძინავს.

ბიჭი მთვარეზე მიფრინავს.

გათოშილი მთვარე კი დაჰნათის მიძინებულ სოფელს.

— მიხა პაპამ გამამგზავნა! — ამბობს გოგია-ბიჭი.

მთვარე იღიმება, როგორც წელან იღიმებოდა გოგია-ბიჭის სარკმელში.

— ეხლა დაიძინეე! — ამბობს მთვარე.

— აკი მძინავს! — ამბობს გოგია-ბიჭი, და უკვირს, რატომ ვერ დაინახა მთვარემ ჩაძინებული გოგია-ბიჭი, იმ მთვარემ, რომელიც მთელ დედამიწას ხედავს.

გოგია-ბიჭი უჯერებს მთვარეს და ისევ იძინებს.

მთვარე კი კალატოზ მიხას მიჰყვება. მიდის კაცი გაყინული თოვლით მოხრეშილ გზაზე და კაცის თავთან დახრილი მთვარე რაღაცას ჩურჩულებს.

— ვინა თქვა, რომ შორს არიო, — ფიქრობს კაცი, — შორი რად ეთქმის, თუ ეგრე ერთმანეთს შევცქერით და ერთმანეთს ველაპარაკებითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კაცს ისევ ბიჭი ახსენდება და ფიქრობს.

— რა ბიჭაა, ეს შამაძაღლიო...

კაცი ჩქარობს.

საცაა შუაღამე წამოვა და დედაკაცი შინ მარტოა.

ასე გვიანობამდე, რა ხანია, კაცს მარტო აღარ დაურჩენია დედაკაცი.

— მე შენ გეტყვი და დაიძინებსო, — ფიქრობს კაცი.

და გრძნობს, როგორ ეწევა შინისკენ იმ დედაკაცის სული და სითბო.

კაცს სცივა. მისი სხეული ამგვარად ჯერ არ გათოშილა. ამგვარად ჯერ არ მონატრებია სითბო საკუთარი სახლისა. ამგვარად ჯერ არ გაწელილა ეს გზაც. თითქოს ბოლო აღარ უჩანს, თითქოს კაცთან ერთად სახლიც მიდის, სახლიც გზას დასდგომია და კაცი ველარ ეწევაო.

— რად მომერია ეს სიცივეო, — უკვირს კაცს.

— ან ეს შიში ნეტავ რისი შიშია, განა მარტოკას ჯერ არ მივლია, რომ ფიქრი არაფრისა მქონიაო.

კაცს მართლა ეშინია და ახლა ისევ იმ გოგია-ბიჭზე უნდა ფიქრი.

მაგრამ გოგია-ბიჭზეც ველარა ფიქრობს.

— ერთიც ვნახოთ და ეს სახლი არ იყოსო, — ფიქრობს კაცი, — ან ის ბებერი, შინ რო მელოდებაო.

და უფრო ეჩქარება, უფრო წინ უსწრებს შინ მისვლის სურვილი.

— აჰა, მოველიო! — ამბობს ხმამაღლა და თავის ეზოში ისე დგას, როგორც ზღვასთან ჭიდილში გამარჯვებული, ნაპირზე გამოსული კაცი.

სულს მოითქვამს და საკუთარ სახლს გასძახის:

— ოჯახიშვილებო!

მაგრამ დაძახნა აღარ უნდა. კარს ვაშლა-ბებო აღებს. კაცი იცინის და ვაშლა-ბებო მაშინვე მიხვდება, გადაკრულშიაო...

ვაშლა-ბებო დაფაცურდება, ღუმელში ცეცხლს გაღეღავს და თან ჩურჩულებს, — ამ შუაღამემდე დავიჯერო იქ იყავი, რა აკეთე, საიდან მოდიხარო. კაცი იცინის, თვალს უკრავს და ეუბნება: სად ვიყავი და აი იმ ვარსკვლავებზე ვიყავი, მემრე მთვარესაც გამოვუარე, ეხლა სწორედ მთვარიდან მოვდივარო. ხო, რატო არა გჯერაო. აი, ის ყველაზე დიდი ვარსკვლავი, გაბდღვრიალებული რო ჩანს, შორს ხო არა გგონიაო? ერთი კვირა თურმე სულ წვიმდა იქა და ავდარს უჩიოდნენო. ეხლა გამაიდარა და კარგ გუნებაზე არიანო...

ამის თქმა და ვაშლა-ბებო სიცილად გადაიქცევა: ვაგლახო ჩემო თავო, დამთვრალა და რას ამბობსო, ეხლავე გაიხადე და ლოგინში ჩაწექი, თორემ მთვარეს მოგცემ მე შენაო. რა ხანია შენი სიმთვრალე აღარ ვიცი, რა აღდგომა გაგითენდა, რათ გაიმსხნილეო. და ამ სიცილში და მუნათში, ალერსიან წყევლაში, ლავაშივით თბილ სიტყვა-პასუხში, ჩათბუნებულ ლოგინში წვებიან...

ამ დროს მამლები მეორედ ყივიან...

●

მეორე დილით თოვა დაიწყო. შრიალით მოდიოდნენ თეთრი, მთვლემარე ფანტელები. მშვიდად და უხმაუროდ ეფინებოდა მიწას თეთრი თოვლი.

შუადღე იქნებოდა წამოსული, ორღობეში ის ბიჭი რომ გამოჩნდა, წუხელ მიხა პაპა რომ წაიყვანა თოხლიაურში. მოდიოდა ქოთქოთით და ეს ქოთქოთი ახალი თოვლის სიჩუმეში ისე დაირხა, როგორც დაბინდულ ტაძარში გალეშილი მედღეობეს ყვირილი: სხვას ვის გამოგზავნიდნენ, თუ არა მეო, აბა, კარში გამოდი, ვაშლა-ბებო, თუ არ გაგეხარდეს ჩემი დანახვაო. წუხანდელივით ხელცარიელი კი არ მოვდივარ, ძღვენით გეწვიე, მიხა პაპას ძღვენითო.

მოდიოდა ბიჭი და მხარზე შედგმულ კალათას კარზე გადმომდგარ მეზობლებს აჩვენებდა.

კალათიდან იცქირებოდა ძველი ხელადა.

მაგრამ ვაშლა-ბებო საჩეხში არ გამოსულა.

საჩეხში ვიღაც სხვანი იდგნენ და გნიასით მოვარდნილ ბიჭს გაჩუმებულნი შემოსცქეროდნენ.

ბიჭი დაიბნა. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და მხარზე შედგმული კალათი მძიმედ ჩამოიღო.

ვიღაც კაცი პირდაპირ ბიჭისკენ წამოვიდა.

— მიხა პაპა აღარ არი... — ჩუმად თქვა კაცმა.

ბიჭმა ქუდი მოიძრო და ახალ თოვლზე დაახეთქა:

— ეგ რა მითხარი, კაცო...

მერე სხვა კაცებიც მივიდნენ და ბიჭს გარშემო შემოეხვივნენ.

— წუხელ იქ იყო, დათვი-ვანოსთან, სადსალამათი...

— ხო, სალსალამათი მოსულა...

— ხუმრობდაო, კაცო!

— დედაკაცს უთქვამს, აღარც თითონ დაიძინა, აღარც მე დამაძინაო.

— ვეჩხუბებოდი, კაცო, დილაზე. ადრე ხარ ასადგომი, ჰოტივით რო ათენებ ამ ღამეს, ხვალე ის კედელი შენი ამოსაყვანი არ არიო?

— ხო, ლადოს კედელი ჰქონდა ამოსაყვანი...

— ყველაფერი მაშინ მომხდარა, მამლებს რო მესამედ უყივლიათ.

— მაშინვე მოველით, იქნება რამე ვუშველოთო.

— რაღას უშველიდი.

— ფანჯარასთან მიმიყვანეთო. მივიყვანეთ... გაალეთო... გავაღეთ... მთვარე დამანახვეთო...

— აბა რაღას დავანახვებდით, მთვარე უკვე ჩასული იყო.

— მთვარე რაღათ უნდოდა?

— რა ვიცი, ეგრე კი თქვა და...

მერე კაცები აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ და თოხლიაურელი ბიჭი ყველას დაავიწყდა. კალათა იდგა ეზოში და ათოვდა. საფერავიან ძველ ხელადას თოვლის თეთრი ქუდი ეხურა.

თოხლიაურელი ბიჭი გზაზე მიდიოდა.

— რა ვუთხრა იმ ბიჭს... მიხა პაპა სად წავიდა მეთქი... მე შენ გეტყვი და მოატყუებ...

●

თოვდა.

სოფელი შორს იყო.



დარბაზი თავშეუკავებლად იცინის, ხარხარებს, თვალცრემლიანი მაყურებლები ერთმანეთს აწყდებიან, თან თვალს არ აშორებენ სცენას.

რა ხდება?

რაიკინი, ან მოსკოვის სატირის თეატრი ხომ არ ეწვია თბილისს?

არა, ამჯერად არავინ ჩამოსულა სტუმრად — მინიატურების სახელმწიფო თეატრში მიმდინარეობს წარმოდგენა — „ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში“. სცენაზეა სიცილის საინტერესო ხელოვანი — თენგიზ ჩანტლაძე.

გგონიათ, მარტო დღეს და მხოლოდ ამ სპექტაკლზეა ასეთი ამბავი? არა, აქ მუდამ სიცილის ზეიმია. ამიტომ არის, რომ მაყურებელმა შეიყვარა ეს თეატრი, მისი ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი და ხალისით ესწრება მის ყოველ წარმოდგენას.

რამ განაპირობა თეატრის ასეთი წარმატება? ჯერ ხომ ათი წელიც არ გასულა, რაც იგი ჩამოყალიბდა?!

1968 წლის 15 აგვისტო არის მისი არსებობის დასაწყისი, დღე, როცა შედგა პრემიერა სპექტაკლისა — „ენკი-ბენკი“ (ავტორები და დამდგმელები ავთ. გელოვანი და თ. ჩანტლაძე). თეატრი მაშინ საქართველოს სსრ ფილარმონიას ეკუთვნოდა და პირველ ნაბიჯებს დგამდა, მალე დაძლია სიძნელეები, თანდათან გაიზარდა, ახალგაზრდა მსახიობებით შეივსო (დასაწყისში 15 კაცი მუშაობდა, ახლა იგი 89-ს ითვლის, აქედან დასში 25 მსახიობია). მაყურებელმა შეიყვარა მსახიობები: ზაირა გოგიაშვილი, შინაგი ნაცვლიშვილი, ამ თეატრში აღზრდილი მსახიობები: ალექსანდრე ფარცხალაძე, მევლუდ ლომიძე და სხვები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის ოსტატი

გამდიდრდა თეატრის რეპერტუარიც; „ენკი-ბენკის“ შემდეგ დაიდგა: „ცხრა მუშკეტერი და ხუთი მხარტანიანი“, „ჩვენც ვეძებთ ტალანტებს“, „ფრთხილად, ქმრებო“, „ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში“, „ნაკრები“, ბოლოს კი — „ფული და სიყვარული“.

თეატრის მუშაობას დიდად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, ქართული საესტრადო მინიატურების ტრადიციებმა, მეორე მხრივ, იმ მჭიდრო შემოქმედებითმა კავშირმა, თეატრმა არსებობის პირველივე დღეებიდან რომ დაამყარა ლენინგრადისა და მოსკოვის მინიატურების თეატრებთან. მთავარი სტიმული თეატრის შემოქმედებითი წარმატებების გზაზე არის ის, რომ მის წვლილს ნეგატიური მოვლენებისადმი ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მაღალი შეფასება მისცა, რისი შედეგი იყო მისი სახელმწიფო თეატრად გადაკეთება. თეატრი მთელი პასუხისმგებლობით შეუდგა მომავლის გეგმების განხორციელებას; კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები დასახა სამოქმედოდ. ამ ცოტა ხანში დაიდგმება არკანოვისა და გორინის სატირული პიესა „დიდი სახლის პატარა კომედიები“, გოგოლის „რევიზორი“. თეატრი მუშაობს აგრეთვე ა. გელოვანისა და თ. ჩანტლაძის ახალ სატირულ პიესაზე „გამარჯვების ღიმილი“, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავს მიეძღვნება. გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული აგრეთვე ლენინგრადისა და მოსკოვის თეატრებთან გასტროლების გაცვლის მიზნით.

თეატრს ნათლად აქვს წარმოდგენილი თავისი მიზანი და ამოცანები. მან იცის, რომ რაც უფრო აშკარად შევებრძოლებით ყოველგვარ დრომოჭმულს, საზოგადოების განვითარების შემაფერხებელს, მით უფრო მალე და ძირფესვიანად ამოვძირკვავთ მას და გზას მივცემთ ახალს, ნათელს, პროგრესულს.

ახალ რეპერტუარში სამზეოზეა გამოტანილი და მახვილგონივრულ ფორმებშია მხილებული ის მანკიერებანი, რაც ყველაზე მეტადაა აღმოსაფხვრელი დღევანდელ ეტაპზე, ეხება ეს ბიუროკრატიზმს (მინიატურა „ასე ვმუშაობთ ჩვენ“), კომუნალურ საკითხს („ქორწინება ალმასკომში“), დანაშაულებრივი გზით გამდიდრებულთა ამაზრზენ საქციელს („დაკარგული საუნჯე“), თუ სხვ. მაყურებელს მოსწონს ის მებრძოლი, შეურიგებელი სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალულია მინიატურები, მაგრამ სპექტაკლი კულმინაციას მაშინ აღწევს, როცა სცენაზე გამოჩნდება თენგიზ ჩანტლაძე და წარმოთქვამს — „ქორია ვარ მე ..“ მსახიობმა შექმნა იშვიათი სახე ქორ-ვაჭრისა, რომელიც ურცხვად ატყუებს მყიდველს, არ ერიდება იმას, თუ რითი ვაჭრობს, ამ გზით ჰოპოვებული ფულით ტრაბახობს კიდეც. კომიკურობის გამძაფრების მიზნით, მინიატურაში გამოყენებულია დახლის ამქართა თითოეული წევ-



რის ბიოგრაფიული შტრიხი, რითაც სააშკარაოზეა გამოტანილი მათი გონებრივი ავლა-დიდება, მათი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, ფულით, პროტექციით და ქრთამით გაზულუქებულნი, კანონსაც რომ არაფრად აგდებენ. როლის ასეთი გროტესკული გახსნის შემდეგ მაყურებელი მინიატურას აღიქვამს როგორც მძაფრ სატირას, მიმართულს ჩვენი საზოგადოების ხორცმეტების წინააღმდეგ, ხოლო თენგიზ ჩანტლაძის მაღალმხატვრული ოსტატობით შექმნილი კოლორიტული სახე — ქორია, სამუდამოდ გვრჩება გონებაში, როგორც განზოგადებული ტიპი პარაზიტისა, რომლის მსგავსნი ადამიანურ ღირსებებს შეურაცხყოფენ, რაც შემოქმედის დიდი გამარჯვებაა.

მსახიობის ნიჭის მრავალმხრივობა განსაკუთრებით კარგად ჩანს „მხიარულ ნიღბებში" — სტილიაგას, სპეკულანტის, მეცნიერ-სელექციონერის სახეები ხელოვანმა ისეთი დიდი აქტიორული ოსტატობით გამოძერწა, ისე ხელშესახები გახადა მათი მდგომარეობის კომიზმი, ცხოვრებისადმი დამოკიდებულების მათი „ფილოსოფია", შესაძლებლობებსა და პრეტენზიებს შორის არსებული უფსკრული, რომ მაყურებელში სარკასტულ სიცილს იწვევს.

თენგიზ ჩანტლაძის ეს „ნიღბები", ისევე როგორც მისი პაროდიები, თვალნათლივ გვიჩვენებენ სიცილის ამ შესანიშნავი ოსტატის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. გარდასახვის უბადლო ნიჭი, ხმის ვირტუოზული ფლობა, როლში ღრმად ჩაწვდომის უნარი, ცვალებადი ტემპერამენტი — აი, ის თვისებები, რაც განსაზღვრავს თენგიზ ჩანტლაძის შემოქმედებით გამარჯვებებს. ნიჭთან ერთად მაყურებლის სიმპათიას განაპირობებს როლის ჩანტლაძისეული ინტერპრეტაციაც.

სატირა ძალზე მიზანსწრაფულია, ამიტომ აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობის მიერ როლის გახსნას, ანუ სატირიკოსის მსოფლმხედველობის გადმოცემას. მინიატურების თეატრში სიცილი ემოციურ დატვირთვასთან ერთად ყოველთვის ახდენს მოვლენის იდეურ შეფასებას, არა მარტო იმით, რომ მსახიობი თამაშით უარყოფს ამ მოვლენის არსს, მის იდეას, არამედ ამ უარყოფასთან ერთად მოაქვს რაღაც დადებითიც; „ამ შემთხვევაში, — როგორც დ. პისარევი ამბობს, — სიცილი არის თავისთავად ახალი იდეა, რომელიც უარყოფს ძველს და იჭერს მის ადგილს".

თეატრს შეგნებული აქვს ისიც, რომ სატირიკოსის გზა არ არის ია-ვარდებით მოფენილი; უარყოფითი და დრომოჭმული ნებით არასდროს არ თმობს პოზიციებს. ამიტომ სატირიკოსს ყოველთვის უხდება ბრძოლა არა მარტო ადამიანურ და ცხოვრებისეულ მანკიერებებთან, არამედ თვით სატირის დასაცავად, ვინაიდან ზოგიერთს სატირა, კომედია, ჰეროიკასთან და ტრაგედიასთან შედარებით მეორეხარისხოვან ჟანრად მიაჩნია. ასეთი ხმები დღესაც გაისმის დასავლეთის სამყაროში. და გასაგებია ვის აძლევს ხელს — იგი ყოველივე წარმავალის, ხავსმოჭიდებულის პოლიტიკაა, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ერთი ხელის მოსმით აბათილებენ ამ მცდარ აზრს.

დანიელი კარიკატურისტი ხერლუფ ბიდსტრუპი წერს: „ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, რატომ მიაჩნდათ უფრო ამაღლებულად ადამიანის ატირება, ვიდრე მისი გაცინება. ჩემი აზრით, სიცილი, ისევე როგორც ტირილი, გამოხატავს ადამიანის გრძნობებს და ამდენად შეუძლია გადმოსცეს სერიოზული ადამიანური პრობლემები"...

... დარბაზი თავშეუკავებლად იცინის, ხარხარებს, თვალცრემლიანი მაყურებლები ერთმანეთს აწყდებიან, თვალს არ აშორებენ სცენას... სცენაზეა სიცილის ოსტატი — თენგიზ ჩანტლაძე.

**ირაკლი ყიფიანი.**



# ცხელ-ცხელი ამბები

## უველაზე პატარა

ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებმა ამას წინათ დაამზადეს მინი-თვითმფრინავი, რომლის წონა 10 კილოგრამს არ აღემატება.

თვითმფრინავს შეუძლია ცაში აიტანოს სხვადასხვა სპეციალური აპარატურა და ზუსტად მოახდინოს ყოველი აუცილებელი ობიექტის აეროფოტოგადაღება.

თვითმფრინავს, რომელსაც „მფრინავი გეოდეზისტი" შეარქვეს, რადიოთი მართავენ.

## უველაზე დიდი

უკრაინელმა სპეციალისტებმა დაამზადეს ჩვენს ქვეყანაში უველაზე მძლავრი ექსკავატორი.

ახალი ექსკავატორის ორმოცდაათტონიანი ციცხვი 35 კუბმეტრ ტვირთს იტევს.

მას ერთდროულად 7 ადამიანი უწევს მომსახურებას.

## ხანძრის წინააღმდეგ

საზღვაო ხომალდებზე ხანძრის გაჩენა შეიძლება თავიდან ავიცილოთ ახალი ავტომატური დანადგარის საშუალებით.

მინიატურული მოწყობილობის დახმარებით, ეს ორიგინალური ავტომატური დანადგარი დროულად იძლევა საგანგაშო გაფრთხილებას სამანქანო განყოფილებაში, კაიუტებში, ტრიუმსა და სხვა ადგილებში ტემპერატურის ნორმაზე მეტად აწევის დროს.

ეს უაღრესად საჭირო დანადგარი ამას წინათ დაამზადეს ლენინგრადის უმაღლესი საინჟინრო-საზღვაო სასწავლებლის სპეციალისტებმა.

## კამპირების დროს

გაყინვით მკურნალობა სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს თანამედროვე მედიცინაში.

ერთ-ერთი ახალი სტაციონალური მოწყობილობა, რომელიც გაყინვით მკურნალობას ემსახურება, ამას წინათ შექმნეს გორკელმა სპეციალისტებმა.

ეს მოწყობილობა, გაყინვით მკურნალობის სხვა საშუალებებთან შედარებით, 15-30-ჯერ ამცირებს ოპერაციის ჩატარების დროს.

## ერთ მილიარდზე მეტი

შორეული აღმოსავლეთის სპეციალისტებმა ამას წინათ დაამთავრეს მრავალწლიანი გამოკვლევა ზღვის ჩიტების ბიოლოგიისა და მიგრაციის შესასწავლად.

მეცნიერებისათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებთან ერთად, ორნიტოლოგებმა დაადგინეს, რომ შორეული აღმოსავლეთის მიდამოებში ამჟამად ერთ მილიარდზე მეტი ზღვის ფრინველი ბინადრობს.

## მდიდარი რესურსები

ჩვენი რესპუბლიკის გეოლოგები და ჰიდროგეოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოს უამრავი მინერალური წყლები შეიძლება ბუნებრივი ნახშირმჟავის მიღების საიმედო წყაროდ ვაქციოთ.

უკვე შედგენილია ნახშირმჟავა გაზის ბუნებრივი რესურსების სქემატური რუკა, დამუშავებულია ნახშირმჟავას მიღების პრინციპიალური ტექნოლოგია.

მალე მწყობრში ჩადგება ამ მეტად საჭირო გაზის მიმღები პირველი საამქრო.

## ბუნებრივი სადებავი

აზერბაიჯანელმა ბოტანიკოსებმა სხვადასხვა მცენარეებისაგან დაამზადეს ნატურალური საღებავები, რომლებსაც უკვე წარმატებით იყენებენ კვების მრეწველობაში.

ბუნებრივი საღებავები დიდი რაოდენობით შეიცავენ სხვადასხვა ვიტამინებს. ხელოვნურ საღებავებთან შედარებით ბუნებრივი საღებავები გაცილებით უფრო იაფი ჯდება.

აზერბაიჯანელი მეგობრების სიახლე მალე ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობაშიც ჰპოვებს გავრცელებას.

## ახალი ჯიში

ყაზახეთის სს რესპუბლიკის სპეციალისტებმა გამოიყვანეს ახალი ჯიშის ცხენები — კუშუმსკი.

ამ ცხენებს შედარებით ნაკლები მოვლა სჭირდებათ, სწრაფად იზრდებიან, მარდები და მძლავრები არიან.

კულინარები მაღალ შეფასებას აძლევენ მათ ხორცს, რომლისგანაც მზადდება დელიკატური კონსერვები და საუკეთესო შებოლილი ძეხვები.

## ფელი და ფელია

ხაბაროვსკის მკვიდრს ე. სუვოროვას ბინაში ჰყავს ორი კატა — ფელი და ფელია.

ფელის სიგრძე კუდიანად 1 მეტრი და 20 სანტიმეტრია. ფელია მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით ჩამორჩება თავის მეგობარს.

ეს ორი დედალ-მამალი გარეული კატა ე. სუვოროვას ნაცნობმა მონადირემ აჩუქა.

ავი და უნდო კატები თანდათან შეეჩვივნენ ადამიანებს. ამას წინათ მათ კნუტებიც შეეძინათ.

## უველაზე მაღალი

ამას წინათ ტაჯიკმა სწავლულებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ქვის ხანის ადამიანის უველაზე მაღალი სადგომი.

ეს სადგომი პამირის აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 4.100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

უძველესი ადამიანის სადგომის ხნოვანება, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დაახლოებით 10.000 წლით უნდა განისაზღვროს.

## უნიკალური ვიოლინო

ვიოლინო, რომელიც ცელ-ქმარმა შემდეგროვებმა დიდი ხნის წინათ შეიძინეს, უნიკალური აღმოჩნდა.

ინსტრუმენტის შიგნით დახმული დამღით დადგინდა, რომ ეს ვიოლინო ცნობილმა იტალიელმა სპეციალისტმა ჯოვანი პაოლო მაჯინიმ დაამზადა 1596 წელს.

ვიოლინო ამას წინათ, საჩუქრად გადაეცა ბელორუსიის იშვიათი ინსტრუმენტების სახელმწიფო კოლექციის მუზეუმს.

# ბუნების საოცრებანი

## გოლიათი ხე

სეკვოია მარადმწვანე, წიწვიანი მცენარეა. ეს ხე მრავლდება თესლითაც და ფესვის გადანაჭრითაც.

სეკვოია დედამიწაზე ამჟამად უველაზე უძველესი მცენარეა. წარსულში იგი ბევრ ქვეყანაში იყო გაშენებული, ახლა კი ძირითადად გვხვდება წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ავსტრალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სეკვოია 100-150 მეტ სიმაღლემდე იზრდება; ამ გოლიათი ხის დიამეტრი 6-12 მეტრამდე აღწევს. ბევრი მეცნიერის აზრით, სეკვოია 2.000 წელზე მეტ ხანს ხძლებს. აქვე უნდა აღინიშნოს ამ ხის განსაცვიფრებელი თვისება: სეკვოიას ჩამოჭრილი ტოტი ერთ წელზე მეტ ხანს ინარჩუნებს მწვანე ფერსა და სიცოცხლეს.

მოჭრილი სეკვოიას ძირზე ამერიკაში ერთხელ ქატრადა მოაწყვს, მეორე ხის საგანგებოდ ამოფუღრულ ტანში კი მოაწყვს... გარაჟი.

ერთ სეკვოიას თავისუფლად შეუძლია ხე-ტყის მასალით უზრუნველყოს 20 დიდი სახლის მშენებლობა.

ამ საოცარი და გიგანტური ხის ნარგავებმა ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სოჭისა და ბათუმის მიდამოებში გაიხარა.

## თავდაცვის საშუალება

სამხრეთ ამერიკის ტყეებში იზრდება ერთი მეტად უცნაური, ბურთივით მრგვალი მცენარე, რომლის წონა ხუთ კილოგრამამდე აღწევს.

აი, რას წერს ამ მცენარის შესახებ ერთ-ერთი ესპანელი მოგზაური: „ის იყო თავი დავაღწიე მორიგ დაბრკოლებას — ორმოს მსგავს ჯურღმულს და მყარ მიწას დავაბიჯე, რომ ჩემს ფეხქვეშ მოულოდნელად რაღაც აფეთქდა; იმავე წამს ჩემს გარშემო ლამქასავით ჩამობნელდა. ამიტყდა გამაღებული ცხვირის ცემინება, თვალებიდან კი ცრემლები წამსკდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ჩემს ირგვლივ ისევ განათდა და გონს მოვეგე, დავინახე მრგვალი, პატარა მცენარე, რომელიც ჯერ ისევ ბოლავდა. აი, სწორედ ამ მცენარემ შემომაფრქვია თურმე ზემოაღწერილი საშინელება"...

ბურთივით მრგვალ მცენარეს თავდაცვის საშუალებად იყენებენ.

ადგილობრივი ინდიელები, განსაკუთრებით კი ქალები, მას ხშირად ესროდნენ შემოსეულ თეთრკანიანებს. აფეთქებული მცენარე არავითარ სერიოზულ ზიანს არ აყენებს ადამიანს, მაგრამ აბნევს, აშინებს, გონებასა და თვალთახედვას უკარგავს.

ბურთივით მრგვალ მცენარეს ახლაც ხშირად იყენებენ თავდაცვის საშუალებად.

## მცენარე იძინებს

მცენარე მიმოზა, როგორც ცნობილია, თავის ფოთლებს კეცავს ღამით, დილით კი ისევ ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდება.

რამ განაპირობა მცენარის ესა საოცარი თვისება?

ცნობილი ბოტანიკოსი ჰანს პიბერდანდი ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს თვისება მცენარემ დროთა განმავლობაში გამოიმუშავა თავდაცვის მიზნით. ისევე როგორც სხვა მცენარეებს, მიმოზასაც ეტანებიან მწერები; ამ მწერებს ძალიან იზიდავს მიმოზას წვრილი, ნაზი და გემრიელი ფოთოლაკები. როცა „დაუპატიჟებელი სტუმარი" მიმოზას ტოტზე იწყებს აცოცებას, მცენარე უცბად კუშმავს ფოთლებს და მწერი ძირს ვარდება. ფოთლების შეკუმშვა მიმოზას რამდენჯერმე შეუძლია.

ეს საოცარი თვისება, რომელიც მწერებისაგან თავდაცვამ განაპირობა, მიმოზამ შემდეგ ღამით „მიძინებისთვისაც" გამოიყენა.

მცენარის სახელი მიმოზა წარმომდგარია ბერძნული სიტყვა „მიმოსისაგან", რაც მიმბაძველს, მსახიობს ნიშნავს.

მიმოზას უმთავრესად ტროპიკულ ქვეყნებში ვხვდებით. იგი 50-60 სანტიმეტრი სიმაღლის ნაზფოთლიანი მცენარეა. თბასის პირობებში, ტენიანობის სიმცირის გამო, უჭირს გახარება.

უცნაური მცენარე მიმოზა უკვე კარგა ხანია რაც შეეგუა აჭარის ტენიან კლიმატს. იგი საქართველოს ამ წარმტაც კუთხეში ბევრ ადგილას არის მოშენებული.



გიორგი დათუაშვილი

# ძველი პრესის ფურცლებიდან

## პირველი ინჟინერი ქალი

ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რას წერდა ქალის შესახებ „ცნობის ფურცელი" 1908 წელს.

გაზეთში გამოქვეყნებულ რუსულიდან თარგმნილ წერილში ვკითხულობთ:

### პირველ დღეს

იალტაზე, სადაც რკინიგზა გაჰყავთ, ყველას ყურადღებას იპყრობს ერთი ინჟინერი ქალი ქ-ნი კონევსკისა. პირველად ინჟინერ ქალზე დაცინვით ლაპარაკობდნენ ხოლმე.

— ჰა, როგორ ბრძანდება ქ-ნი ინჟინერი?

— რაღა თქმა უნდა, საქმროს დაეძებს გაგიჟებული, არა?

### სამი დღის შემდეგ

— კონევსკისა როგორაა?

— დღეს ვხედავთ კაცური შარვალი და ყელიანი წაღები ჩაუცვამს და მობრძანდება.

— ესე სჯობია, — ამბობს, — მუშაობას აღარ შემიშლის ტანისამოსიო.

— ხა! ხა! ხა!

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთი საუბარი გაიმართა:

— კონევსკისა ბევრს გაცინებთ, ჰა?

— ჰმ... არა, ჯერ ბაიდარზე მუშაობს.

— სასაცილოა სწორედ!

### ცოტა ხნის შემდეგ

— ქ-ნმა კონევსკისამ, წარმოიდგინეთ ყმაწვილებო, მშვენივრად შეასრულა თავისი საქმე! სწავლაც კარგი ჰქონია და გამოცდილებაც. იმისაგან ბევრს ისწავლის კაცი.

— მართლა?!

ინჟინრებმა პირები დააღეს.

ასე ისახელა თავი რუსეთში პირველმა ინჟინერმა ქალმა კონევსკისამ".

## ავტორისა და რედაქტორის ამბავი

მწერალი ბრეკარდი ერთ ამბავს მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებს ზოგიერთი ავტორი წიგნის გამოცემას.

როდესაც ჟურნალის რედაქტორი ვიყავი ჩემთან ნიადაგ მოდიოდა ერთი კაცი, რომელსაც ყოველთვის ლექსები მოჰქონდა დასაბეჭდად. მაგრამ ავტორს ისევ ვუბრუნებდი ხელნაწერებს და ისიც დიდი სიამოვნებით ლებულობდა უკან თავის ნაშრომს. ერთხელ ეს კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა: "თქვენ, ჩემო ბატონო! სულელი გგონივართ, თუ როგორაა თქვენი საქმე?! მე განა არ ვიცი, რომ ჩემს ხელნაწერებს წაუკითხავად მიბრუნებთ უკან! მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, — ამავე დროს ჯიბიდან ამოიღო ლექსი და რევოლვერი, — ახლავე წაიკითხავთ ამ ლექსს და ფიცხლად შეაყენა დამბაჩის ჩახმახი. მეტი ღონე აღარ იყო და ლექსის კითხვა დავიწყე.

— როგორ მოგწონს? — მკითხა მოძალე მგოსანმა.

— საძაგელია!

— მაშ არ დაიბეჭდება?

— არა!

— მე თქვენ გირჩევთ, ეს ლექსი ხვალინდელ ნომერში დაბეჭდოთ, თორემ ცოფიანი ძაღლივით აქვე გაგათავებთ! — და ხელახლა დამიმიზნა რევოლვერი.

(გაგრძელება იხ. მე-18 გვერდზე).

# შოროხევის საიდუმლო

ნამდვილი ამბავი

ეთერ ჩილაჩავა

რამდენიმე წლის წინათ, როცა მამა-შვილი აბქაროვები მოკლეს, ყვარლის ხე-ტყის მეურნეობას ლოლოიანში, შოროხევის მახლობლად თურმე კარტოფილის ნათესები ჰქონდა.

ამ ნათესებს რამდენიმე კაცი ყარაულობდა. ვინმე ყადი რამაზანს, მის სიმამრ ჯამალ ტალოს და დაღესტნიდან გადმოსულ მაჰმად იმან ოღლის, რომელსაც მეტსახელად პეკხეს ეძახდნენ, მიზომილი ჰქონდათ ნათესების საყარაულო ფართობები.

მცველებს ერთმანეთისაგან მოშორებით მომცრო ქოხები აეშენებინათ. ამ ქოხებში ხშირად აფარებდნენ თავს ყვარლის რაიონიდან დაღესტანში მიმავალი თუ იქიდან მომავალი დაგვიანებული მგზავრები.

აბქაროვების მკვლელობის საბედისწერო დღეს ყადი რამაზანის ქოხში, როგორც ძველი ძიება უჩვენებდა, თურმე ღამეს ათევდა ყადის შორეული ნათესავი, ლეკი ქალი ათიქალა.

ამ მოწმის ხელმეორედ დაკითხვამაც ახალი ვერაფერი მისცა ძიებას.

— არ მახსოვს, დიდი ხნის ამბავია, ახალს ვერაფერს დავუმატებ ჩემს ჩვენებას, — დაბეჯითებით გაიძახოდა ათიქალა.

— აბა დაფიქრდით, იქნებ გაიხსენოთ რამე, — ვინ მოთვლის, მერამდენედ ეკითხებოდა კახეთიდან დაღესტანში საგანგებოდ ასული ბორის აბრამიშვილი ხანში შესულ ქალს.

დაბეჯითებულმა თხოვნამ, გულითადმა, თავაზიანმა საუბარმა თავისი გაიტანა. დიდი ფიქრის შემდეგ, ათიქალამ, როგორც იქნა, ერთადერთი ახალი დეტალის გახსენება შესძლო.

— იმ ღამეს ყადი რამაზანმა ეზოში ძაღლი აუშვა, — ყვებოდა ათიქალა, — წინათაც ვყოფილვარ მასთან, მაგრამ ძაღლი არასოდეს აუშვია. როცა სროლის ხმა გავიგე, გარეთ გასვლა მოვინდომე, მაგრამ ძაღლმა არ გამიშვა. ცოტა ხნის შემდეგ ყადი ქოხში დაბრუნდა და ძაღლი ისევ დააბა. ეს იყო და ეს.

ეს ცოტას როდი ნიშნავდა!

რატომ აუშვა ყადი რამაზანმა ძაღლი?

იქნებ იმიტომ, რომ თავისი სტუმრისათვის ჩაეკეტა გზა და იგი რაღაც ბინძური საქმის უნებლიე მოწმე არ გაეხადა.

რაღად დააბა ყადიმ ძაღლი? მოათავა თავისი საქმე და იმიტომ?

ყადი რამაზანის პიროვნების გულმოდგინედ შესწავლამ ძიებას საინტერესო ცნობები მისცა. იგი არყის მოყვარული, გულბოროტი და ბნელ საქმეებში გარეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

აბურდულ რგოლში რაღაც წვერის მიგნებამ და მისმა ამოწევამ ხელი შეუწყო ამ წვერის კიდევ უფრო დაგრძელებას.

ოპერატიული ღონისძიებებით მალე ისიც დადგინდა, რომ აბქაროვების მკვლელობის ღამეს ყადი რამაზანს და ძიებისათვის ცნობილ ვინმე იბრაჰიმ დულანოვს ღამით თურმე ცხენი მოჰყავდათ შოროხევის გზაზე. ეს ცხენი მალე სადღაც გაქრა და არასოდეს აღარ გამოჩენილა.

ხომ არ იყო ეს ცხენი მოკლული მაჰმად აბქაროვის ცხენი? იქნებ იგი მოხერხებულ დროს ხელიდან გაუსხლტა ყადისა და იბრაჰიმს, ჭენებით გაირბინა ნაცნობი გზა დაღესტნისკენ და პატრონის ეზოში გაოფლილი შევარდა?

შოროხევის საიდუმლოს ამოხსნაში ახლა დიდი როლი უნდა შეეტანა მოწმეების სირაჯუდინ რამაზანოვისა და სულეიმან დამედოვის განმეორებით დაკითხვას.

როგორც არსებული მასალებიდან ირკვეოდა, ეს ორი კაცი აბქაროვების მკვლელობის დღეს თურმე დაღესტნიდან მოდიოდა ყვარელში. ყველის გასაყიდად წამოსულ სირაჯუდინ რამაზანოვსა და სულეიმან დამედოვს შოროხევთან სროლის ხმა შემოესმათ. სროლა რამდენჯერმე განმეორდა. ალბათ ვინმე ნადირობს, — გაიფიქრეს მათ და შეუჩერებლად განაგრძეს გზა.

ამის გარდა ძველი ძიება სხვა არაფერ მასალებს არ იძლეოდა.

მთელი ყურადღება ახლა ყადი რამაზანისაკენ იყო მიმართული. ძველი მასალები ახლა სწორედ ყადი რამაზანის ირგვლივ მოითხოვდა შევსებასა და გაღრმავებას.

მილიციის უფროსმა და მისმა მოადგილემ ჯერ სირაჯუდინ რამაზანოვი დაჰკითხეს.

დიდი გამოცდილება, დაკვირვება, ჩეკისტის უტყუარი ალღო იყო საჭირო, რომ მოწმის თითქოსდა გულღია, თითქოსდა სწორ პასუხებში რაღაც შეშფოთება შეგემჩნიათ. ეს შეშფოთება მაშინ უფრო იჩენდა ხოლმე თავს, როცა შეკითხვა ყადი რამაზანს შეეხებოდა.

მეორე მოწმის, სულეიმან დამედოვის დაკითხვის დროსაც სწორედ ამ ფარულმა და ძნელად ამოსაცნობმა შეშფოთებამ იჩინა თავი.

ეჭვი არ იყო, დაკითხულმა მოწმეებმა რაღაც საიდუმლო იცოდნენ.

რამდენიმე წლის წინათ, როცა აბქაროვების მკვლელობის საქმეს იძიებდნენ, მოწმეების ამ შეშფოთებას შეიძლება სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს. უფრო სწორედ, სირაჯუდინ რამაზანოვმა და სულეიმან დამედოვმა, როგორც ეტყობა, მოახერხეს ეშმაკურად დაეძლიათ ეს შეშფოთება და მართლმსაჯულების წინაშე უცოდველად წარმსდგარიყვნენ.

მივიწყებული და მიძინებული საქმის ხელმეორედ ამოტივტივებამ მოწმეები დააფრთხო. როგორც მილიციის უფროსი და მისი მოადგილე ვარაუდობდნენ, რამაზანოვი და დამედოვი, რომლებსაც თავი უკვე სამშვიდობოს ეგონათ გასული, მოულოდნელად ჩიხში მოექცნენ. იმისმა ფიქრმა, რომ ახალი ძიება ფარდას ახდიდა შოროხევის საიდუმლოს, ისინი დაუოკებელი შიშით აღავსო.

ახლა ამ შიშის გაძლიერება, გაღრმავება და სააშკარაოზე გამოტანა იყო საჭირო.

— მოქალაქე სულეიმან დამედოვო, იცით თუ არა თქვენ, რომ საბჭოთა კანონი არასწორი ჩვენებისათვის მოწმის დასჯას ითვალისწინებს? — პოდპოლკოვნიკმა თვალი თვალში გაუყარა ნირწამხდარ მოსაუბრეს.

— ვიცი, უფროსო! — თვალი აარიდა დამედოვმა ჯანყარაშვილს.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, — ახლა მაიორი ჩააშტერდა თვალებში მოწმეს, — ძიებისათვის საჭირო სიმართლის დამალვისათვისაც სასჯელი რომ არის გათვალისწინებული?

სულეიმან დამედოვმა თავი დახარა.

— თქვენი მოვალეობაა აღიაროთ ის, რაც უკვე აღიარა...

ჯანყარაშვილი შეჩერდა, ახლა თვითონ აარიდა თვალი წამოგზნებულ დამედოვს და დინჯად დაამთავრა სათქმელი:

— თქვენმა მეგობარმა სირაჯუდინ რამაზანოვმა.

მილიციის უფროსი ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ მის მოადგილეს მხედველობიდან არ გამოპარვია დამედოვის თვალებში როგორ ილევს რაღაც ცეცხლოვანმა ნაპერწკლებმა.

— რა აღიარა სირაჯუდინმა? — უმწეოდ წაიჩურჩულა მოწმემ.

— ეს თქვენ უნდა სთქვათ და არა ჩვენ! — ფანჯრისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე წამოიწყო პოდპოლკოვნიკმა, — სირაჯუდინმა აღიარა ის, რაც ყადი რამაზანმა თქვა. მეტი არაფერი!

— ტყუილია!.. ყადი რამაზანს ნუ დაუჯერებთ!.. — დამედოვი სკამიდან წამოხტა, — ყადი ახლა ცდილობს თავი დაიძვრინოს... მე და სირაჯუდინი დამნაშავეები არა ვართ!..

— ვიცით, — მშვიდად მიაგება აბრამიშვილმა, — თქვენ მკვლელები არა ხართ, მაგრამ... იტყვით თუ არა ყველაფერს?

პოდპოლკოვნიკი შემოტრიალდა, სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩასრისა და ჩვეული სიდინჯით თქვა:

— მოქალაქე სულეიმან დამედოვო, თქვენ თავისუფალი ხართ. მიბრძანდით.

დამედოვი მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ სიჩუმე ბორის აბრამიშვილმა დაარღვია:

— დამედოვო, დაიწყეთ.

პოდპოლკოვნიკმა სიგარეტი გაუწოდა აჭარხლებულ მოწმეს. დამედოვმა ღრმა ნაფაზებით გააბოლა თუთუნი და, თითქოს რაღაც ტვირთი მოხსნესო, მოულოდნელი სიმშვიდით დაიწყო:

— იმ დღეს მე და სირაჯუდინს დაღესტნიდან ყვარელში ყველი მოგვქონდა გასაყიდად; მოკლეზე ვიარეთ. ეს საცალფეხო ბილიკი, როგორც მოგეხსენებათ, შოროხევთან დიდ გზას უერთდება. გზების თავშესაყართან ყადი რამაზანი და ვიღაც უცნობი კაცი შემოგვხვდნენ. თოფები ეჭირათ. რაღაცაზე საუბრობდნენ. თოფების დანახვა არ გაგვკვირვებია. ყადის ვიცნობდით, ვიცოდით კარტოფილის ნათესების დარაჯად მუშაობდა და იარაღის ტარების უფლება ჰქონდა...

მოსაუბრემ ზედიზედ გააბოლა თუთუნი და განაგრძო:

— ყადი მოგვიახლოვდა, თოფი დაგვიმიზნა და სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით გვითხრა: „ახლავე გატრიალდით უკან, აგერ იქით, მეორე საცალფეხო ბილიკი მიდის და იმ გზით იარეთ". ვიცოდით მისი ხასიათი, თუ არ წავიდოდით, აუცილებლად ტყვიას დაგვახლიდა. ეტყობოდა, რაღაცაში ვუშლიდით ხელს....

— მერე? — ჩაეკითხა მაიორი დადუმებულ დამედოვს.

— დიდი გზის თავშესაყრიდან ახალი გადასულები ვიყავით, როცა თოფმა დაიქუხა. „ეტყობა ვიღაცა მოკლეს!" მითხრა სირაჯუდინმა და ორჯერ ისევ დაიქუხა თოფმა.

— დაამთავრეთ? — იკითხა მაიორმა.

— არა. აქეთ ამობრუნებისას ყადი, ეტყობა, გვითვალთვალებდა და გზაზე დაგვხვდა.

— რა გითხრათ? — ახლა ჯანყარაშვილმა შეუბრუნა კითხვა.

— თუ ოჯახი გიყვართ, თუ სიცოცხლე გინდათ, სამარე უნდა იყოთ! რაც ნახეთ და გაიგეთ, თქვენში უნდა დარჩესო.., რა გვექნა, უფროსო, სიკვდილისა გვეშინოდა და აქამდე იმიტომ ვიყავით ჩუმად.

* * *

დამედოვის ჩვენება მალე ზუსტად გაიმეორა და დაადასტურა სირაჯუდინ რამაზანოვმაც.

მკვლელობაში ეჭვის მიტანა და მოწმეებით დადასტურება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საქმის ძირ-

დასასრული. იხ. „დროშა" № 2.

ფესვიან გახსნას. ჯერ კიდევ დასადგენი იყო, შეიარაღებული ორი კაციდან რომელმა ჩაიდინა მკვლელობა, არც ის იყო გამორიცხული, რომ მკვლელობაში ორთავე ბოროტმოქმედმა მიიღო მონაწილეობა. მეორე დამნაშავე, ვინმე იბრაჰიმ დულანოვი, უკვე გარდაცვლილი იყო და ახლა მთავარი მნიშვნელობა იმას ჰქონდა თუ როგორი ალიბით შეხვდებოდა ყადი რამაზანი წაყენებულ ბრალდებას.

— მიაკვლიეთ რაიმე ნივთმტკიცებას? — ჰკითხა რამდენიმე დღის შემდეგ მილიციის უფროსმა კაბინეტში შემოსულ მოადგილეს.

მაიორის ღიმილი დადებითი პასუხის ნათელი დადასტურება იყო.

— გარდაცვლილი იბრაჰიმ დულანოვის ყოფილ ცოლს, რომელიც ახლა სხვაზეა გათხოვილი, შოროხევში მოკლული ფირდასას ვერცხლის სამაჯური აღმოაჩნდა. ისლა დაგვრჩენია, რომ დამნაშავის ბინა გავჩხრიკოთ და დანაშაულში ეჭვმიტანილი ყადი რამაზანი დავაკაოთ.

— დაუყოვნებლივ შეუთანხმდით პროკურორს და სანქცია აიღეთ!

მკვლელობაში ეჭვმიტანილ ყადი რამაზანს იმავე დღესვე წარუდგინეს ჩხრეკის ორდერი.

მილიციის მუშაკებმა რამაზანის სახლის სხვენზე მიაკვლიეს გულდასმით გადამალულ საბრძოლო შაშხანას, ლულებწაჭრილ სანადირო თოფს, ხანჯლებს, დანებს, თუნგს, სხვადასხვა ვაზნებს, უნებართვოდ მოკლული ორი ირმის ტყავს...

ყადი რამაზანი დააპატიმრეს.

* * *

ყველაფრის უარყოფა და თავის მართლება უშედეგო გამოდგა. მოწმეების დაპირისპირება, მეტყველი ფაქტები, სხვადასხვა ნივთმტკიცება თანდათან აშიშვლებდა შემზარავ ბოროტმოქმედს.

— მკვლელობის დროს სახლში ვიყავი! — ჯერ ამას ჩაეჭიდა ყადი რამაზანი.

მოწმე ათიქალას დაპირსპირების შემდეგ დამნაშავემ „გაიხსენა", რომ მკვლელობის დროს სახლში კი არ იყო, სიმამრთან ქეიფობდა.

დაუპირისპირეს სხვა მოწმეები, რომლებმაც ნათელყვეს, რომ ქეიფის მინიშნებულ დროს, ყადი რამაზანს და იბრაჰიმ დულანოვს ტყიდან მოჰყავდათ მოკლული მამა-შვილის ცხენი.

ყველაზე მძიმე დარტყმა მკვლელმა მაინც სულეიმან დამედოვისა და სირაჯუდინ რამაზანოვის დაპირისპირებით მიიღო. მისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა აბქაროვების მკვლელობის უარყოფა. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა და დამნაშავემ მაშინვე მოსძებნა ეს ერთადერთი უიმედო გამოსავალი:

— დულანოვს და რამაზანოვს ჩემი პირადი მტრობა აქვთ. ყველაფერი მათ მიერ არის მოგონილი... მე დამნაშავე არა ვარ...

საბოლოოდ არც მაშინ მოტყდა, როცა ნივთმტკიცებისათვის მოკლული ფირდასას სამაჯური დაუდეს წინ.

— თუ დულანოვს და რამაზანოვს თქვენი პირადი მტრობა აქვთ, ამ სამაჯურზე რაღას იტყვით? ამასაც თქვენი პირადი მტრობა აქვს?

მაიორ ბორის აბრამიშვილს არც ამაზე დაუყოვნა პასუხის გაცემა განადგურებულმა, მაგრამ ხავსს ჩაჭიდებულმა ყადი რამაზანმა:

— ეგ სამაჯური იბრაჰიმ დულანოვმა აჩუქა თავის ცოლს და არა მე.... მე რა შუაში ვარ?

— ჯერ ერთი, საიდან იცით, ეს სამაჯური ვინ ვის აჩუქა? — კუშტად მოუჭრა პოდპოლკოვნიკმა ჯანყარაშვილმა, — იქნებ ეს თუნგიც იბრაჰიმ დულანოვმა გაჩუქათ თქვენ?

ყადი რამაზანი ბორის აბრამიშვილის ხელში შემართულ თუნგს დააშტერდა.

— ეს თუნგი ჩემია... არავისაც არ უჩუქებია... მე დავამტკიცებ, რომ ეგ თუნგი უკვე რამდენიმე წელია მაქვს... ჩემია და მაქვს!..

მაიორმა თუნგი ხელში შეაჩერა ყადი რამაზანს და ბრძანების ტონით წარმოთქვა:

— გადმოაბრუნეთ თუნგი!

თუნგის ძირზე მკრთალად გამოიკვეთა ასოები: „მ" და „ა".

— იცით რას ნიშნავს ეს ასოები? — თვალი თვალში გაუყარა მაიორმა ყადი რამაზანს, — ამ თუნგის პატრონის ინიციალები გახლავთ: „მ" — მაჰმად, „ა" აბაქაროვი.

მკვლელი აცახცახდა. იგრძნო, რომ ბოროტების აღსასრული დადგა, სიმართლემ მაინც თავისი გაიტანა და მაგიდაზე დაწყობილ, აკანკალებულ ხელებში ჩარგო აცრემლებული სახე.

* * *

ყადი რამაზანმა სულ ორიოდე წუთში, რამდენიმე წინადადებით მოხაზა ის დიდი ტრაგედია, რომელიც მამა-შვილ აბქაროვების წინ აღიმართა.

მაჰმად აბქაროვის ქალიშვილი ფირდასა თხუთმეტი წლისა იყო, როცა მას თვალი დაადგა დაღესტანში თავისი სიბილწითა და ბოროტებით სახელგანთქმულმა კაცმა ღორ-სეითიმ.

მაჰმადი იძულებული გახდა დაღესტნიდან აყრილიყო, ფირდასაც თან წაეყვანა და ყვარელში შეხიზნულიყო.

ღორ-სეითი თავის ძმადნაფიც იბრაჰიმ დულანოვს შეეკრა, ავაზაკებმა გადაწყვიტეს, შური ეძიათ მაჰმად აბქაროვზე და მისთ ის ძალისძალად წაერთმიათ გადამალული ფირდასა.

გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოეყვანათ, როცა ღორ-სეითი ავტოავარიაში მოხვდა და გარდაიცვალა. იბრაჰიმ დულანოვმა მომაკვდავ ძმადნაფიცს დაჩოქილმა შეჰფიცა, რომ მაჰმად აბქაროვს სამაგიეროს მიუზღავდა და ძმადნაფიცის სულის მოსახსენებლად ზვარაკად შესწირავდა მას.

გამოხდა ხანი. იბრაჰიმ დულანოვმა, რომელსაც მომაკვდავი ძმაკაცისათვის მიცემული პირობა არ ასვენებდა, ყველაფერი გაანდო მეორე ძმადნაფიც ყადი რამაზანს. შეზარხოშებულმა ყადი რამაზანმა „ვაჟკაცური" ფიცი დასდო, რომ თავის წვლილსაც შეიტანდა მიცვალებულისათვის მიცემული აღთქმის შესრულებაში.

ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეს, ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეს, მაჰმადი და ფირდასა როცა დატვირთული ცხენით ყვარელიდან დაღესტნისაკენ მიეშურებოდნენ, თოფმომარჯვებულებმა გადაუჭრეს გზა.

ფირდასას მოხდენილმა ტანმა და სილამაზემ იბრაჰიმი დაატყვევა, დაუოკებელი პირუტყვული ჟინი აღუძრა. მამა-შვილი ტყეში შეათრიეს. დულანოვმა ძმადნაფიცობაც დაივიწყა, მომაკვდავისათვის მიცემული პირობაც და ქალიშვილს ეძგერა.

მაჰმადის დაკავება შეუძლებელი გახდა: იგრიალა ყადი რამაზანის თოფმა. მაჰმადი მოცელილივით დაეცა მიწაზე. მშობლიურმა გრძნობამ მომაკვდავ კაცს ძალა შემატა, წამოდგა, ბარბაცით მიიჭრა დამხობილ იბრაჰიმ დულანოვთან, ხანჯალი იძრო და მკლავში ჩასცა. მეორედ იგრიალა ყადი რამაზანის თოფმა.

როცა მკერდგაღეღილი და ტანსაცმელშემოფლეთილი ფირდასა მამისაკენ გაქანდა ახლა იბრაჰიმ დულანოვის თოფმა დაიჭექა.

— სხვა გზა არ იყო, გაგვცემდა! — ჩაილაპარაკა დულანოვმა, — მკვდრები შოროხევში ჩავათრიოთ, რომ ვერ მონახონ.

დანაშაულის ადგილს სასწრაფოდ უნდა გაცლოდნენ.

— ზოგიერთი ნივთი წავიღოთ, გამოძიება დაიბნევა... იტყვიან გაძარცვის მიზნით მოკლესო... — გადაულაპარაკა ყადი რამაზანმა პარტნიორს და აბქაროვის ცხენის აღვირს ჩაავლო ხელი.

* * *

დანაშაული ვერ დაიმალა!

შეიძლება ზოგჯერ მოგვიანებით, მაგრამ სიმართლე მაინც გამომზეურდება! ბოროტს თავისი მიეზღვება! ასე მოხდა ამჯერადაც.

## ლექსები

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

### მაგნოლიის ყვავილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო უცხოეთში მცხოვრებ თანამოგვარე ზაირა სამხარაძესთან შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ მიწერ-მოწერით ვიცნობდი. მიმდინარე წელს ზაირა სოხუმში მესტუმრა, თავის მეუღლესთან, რუმინელ ანდი კალჩუსთან ერთად.

მოფრინდი და ჰერმა მაღლით აიწია,
გვისახსოვრე სიხარული ულევი,
ცელქმა სიომ მზის აკვანი დაგირწია,
რადგან ეს დღე სხვა დღეს არ ჰგავს სრულებით...

ო, რა მალე აგვისრულე ნატვრა დიდი,
რაიც ერთ დროს ოცნებებში ვინატრეთ...
მზით ანთებულს სულში მერცხლად შემოფრინდი
და კაშკაშა სხივი შემოგვიმატე...

სიახლოვით სიყვარული გაასკეცდა,
შენს მშვენებას ჩემში აბა რა წაშლის,
ვარდებს გათოვს საქართველოს ლურჯი ზეცა,
გეფერება მზეც სხივების მარმაშით...

სუმბულებით გზა შეგიმკეთ ახლობლებმა,
მშობლიური ერდოს მტრედი გიწოდეთ,
ბუქარესტში წასვლის დღე რომ ახლოვდება,
განშორების სევდა გვიპყრობს, იცოდე...

როცა ზღვაზე შენთვის კენჭებს მოვაგროვებ,
იმ პალმებთან ფიქრით სავსე ჩავივლი,
ვარდს შევხედავ და შენს ღიმილს მომაგონებს,
მაგნოლიის თოვლისფერი ყვავილი...

შენს სურათთან შევაჩერებ მზერას დიდხანს,
ეგ თვალები მზისებრ შემომანათებს,
ვფიცავ, ასჯერ და ათასჯერ წავიკითხავ,
შენი ხელით ამოქარგულ ბარათებს...

და თუ თვალზე ცრემლი მაინც მომერია,
შენს საყვარელ მაგნოლიებს ვემთხვევი...
ცრემლი ზოგჯერ სიხარულის მორევია,
გწამდეს, კარგო, მალე ისევ შევხვდებით.

თამარ აბულაძე

### სანაპიროზე

ჩუმი, წყნარი სანაპირო,
ქვის ფარდაგად დაფენილი,
თოლიები სანადიროდ
უთენიად აფრენილნი.

ლურჯ ლეჩაქად გადაშლილა,
ტალღა ტალღას ალივლივებს,
აელვარებს კენჭებს დილა,
სანაპიროს ფერად ღილებს.

შორს, ძლიერ შორს, ცის
დასასრულს,
ცეცხლის სინი ამოცურდა,
მე განთიადს, გულს ასე სურს,
აქ, ნაპირზე დავხვდე უნდა...

აგერ ისიც, სამშობლოს მზე,
თვალი ხარობს, გული ამბობს:
„შენზე ვფიქრობ, მხოლოდ შენზე
შენ გიგზავნი გულს და ამბორს"...

ვფიცავ, თუკი დაგჭირდება,
არ დავზოგო დრო ამაოდ
და სამშობლოვ, დაჭრილ მკერდზე
დაგეფინო მე მალამოდ.

## უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

### ფრანგულიდან — ფრანგულზე

ამას წინათ პენსიონერმა, ერთ დროს დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწე პიერ დე ბომენმა „აღმოაჩინა", რომ დიდი მწერლები უბრალო მასებისათვის ერთობ გაუგებარ და მიუწვდომელ ენაზე წერენ და ამიტომ მან თავისი ორიათას სიტყვიანი ლექსიკონის დახმარებით ფრანგული ენიდან ფრანგულ ენაზე „თარგმნა" ბალზაკის, ჰიუგოს, დიუმას და სხვათა საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოებები.

ამ „ნოვატორობამ", რა თქმა უნდა, დააზარალა ფრანგი მკითხველის მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, სამაგიეროდ, ბომენს კარგი დიდი თანხა მოუტანა — მის მიერ „თარგმნილი" წიგნების საერთო ტირაჟმა 5 მილიონ ეგზემპლარს გადააჭარბა.

### გიტარა თვითონ უკრავს

ლოს-ანჯელოსის მუსიკალურ მაღაზიებში გამოჩნდა გიტარა, რომელზედაც დაკვრას სულ რაღაც ხუთ წუთში სწავლობს ადამიანი.

გიტარისტის თითები ეხება სიმებს, სიმები ხმას არ გამოსცემენ, სინამდვილეში ხმას გამოსცემს გიტარის კორპუსში ოსტატურად ჩამალული მაგნიტოფონი.

### ვის როგორ სძინავს

ფრანგი მკვლევარი პიერ დაკო, რომელმაც შეისწავლა ადამიანთა სხვადასხვა პოზა ძილის დროს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ის, ვისაც პირქვე დამხობილს სძინავს, კმაყოფილი არ არის თავისი ცხოვრებით, ვისაც პირაღმა — ძლიერი და სავსებით კმაყოფილი პიროვნებაა. ვისაც ოთხად მოკეცილს სძინავს, ან და ბალიში აქვს ჩახუტებული, სევდიან განწყობილებათა ტყვეობაშია და ალერსს საჭიროებს. პირქუშ პესიმისტებს კი თურმე თავზე საბანწახურულებს სძინავთ.

### „ცოცხალი" ისტორიული ძეგლი

შრი ლანკას პატარა პროვინციულ ქალაქ ანურადჰაპურს სახელი გაუთქვა მრავალმა ისტორიულმა ღირსშესანიშნაობამ, მათ შორის — გიგანტურმა ლეღვისხემ, რომელსაც „ბუდას ხეს" უწოდებენ და თაყვანს სცემენ მთელი მსოფლიოს ბუდისტები.

უძველესი მატიანეები გვამცნობენ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 251 წელს ჩრდილოეთ ინდოეთიდან წამოუღიათ წმიდათაწმიდა ლეღვის ხის ყლორტი და საზეიმოდ ჩაურგავთ ცეილონში (ახლანდელი შრი ლანკა), როგორც ამ კუნძულზე ბუდიზმის დამკვიდრების სიმბოლო.

გარდა თავისი ისტორიისა, ეს წმიდათაწმიდა ხე იმითაც არის საინტერესო, რომ იგი ერთ-ერთი „უხუცესი" ხეა ჩვენს პლანეტაზე. მიმდინარე წელს ამ ხეს 2228 წელი უსრულდება, რაც დადასტურებულია დოკუმენტურად.

### ავტორისა და რედაქტორის ამბავი

(დასასრული)

ამ ხერხმა გასჭრა და აღუთქვი, დავბეჭდავ-მეთქი.

რადგან წესად მაქვს ყოველი აღთქმა შევასრულო, ამიტომ ლექსი დავბეჭდე. მაგრამ თან შენიშვნა წავუმძღვარე, რათა მკითხველმა იცოდეს, როგორი სისულელე იბეჭდება ხოლმე ჩვენს ჟურნალში-მეთქი.

მაგრამ ვიცოდი, რომ შემდეგისათვის ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი და მეც რევოლვერი მოვიმზადე. ჯერ კიდევ ქაღალდი არ იყო გამშრალი, რომელზედაც ლექსი იყო დაბეჭდილი, რომ თავი შემოყო ლექსის ავტორმა, ვილი ვილკენსმა, მე უნებლიედ დამბაჩას ვტაცე ხელი. ვილკენსმა გადიხარხარა და ასე მითხრა:

— დაგწყევლოთ ღმერთმა — თუმცა ძნელია თქვენი გამტყუნება, მაგრამ ნუთუ ჩემი ლექსი მართლა ისეთი უხეიროა?

— უხეიროზე უხეიროა-მეთქი, შევძახე და ხმაზე მეტყობოდა, რომ ღრმად მწამდა, რასაც ვამბობდი.

— კარგია, მჯერა! თქვენ მაგისი მცოდნე ხართ და დაგეჯერებათ! გაძლევთ პატიოსან სიტყვას ამიერიდან ერთ სტრიქონსაც აღარ დავწერ და აჰა დასამტკიცებლად ჩემი ხელიო. მეც სიამოვნებით ჩამოვართვი ხელი და გავიფიქრე, რომ ეს ერთი მსხვერპლი მწერლობისა სამუდამოდ გადავარჩინე განსაცდელს.

გაზეთი „ივერია" 1894 წელი.



## · კაკალ გულში ·

### ცოლომანია

პირველი ცოლი ნამდვილად არ იყო ცუდი ქალი, მაგრამ ერთ რამეში ვერ ვრიგდებოდით, მე კვაწარახით შეკაზმული ლობიო მიყვარდა, მას — ძმრით, მას ქინძიანი მოსწონდა, მე — ნიაზურიანი. თუმცა მარტო ლობიო რომ ყოფილიყო ჩვენი ერთწლიანი დავის მიზეზი, ჯანდაბას, კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ წიწაკაზეც ვერ შევთანხმდით. მე მწარე და მლაშე კერძი მიყვარდა, მას — პირიქით. კარტოფილი რომ კარტოფილია, ისიც კი გახდა ჩვენი გაყრის დამაჩქარებელი მიზეზი. გულისვარდს (პირველი ცოლის სახელია) კარაქში შემწვარი უყვარდა, მე — ზეთში შემწვრისთვის ვკარგავდი ჭკუას. არც კომბოსტოს მწნილმა დააყარა ჩვენს ურთიერთობას კარგი დღე — მე ტარხუნისგემოიანი მსიამოვნებდა, მას — სტაფილოსი. რაც შეეხება ქათამს, იგი ჩვენი მენიუს იშვიათი სტუმარი იყო და მას ჩვენს განშორებაში ბრალი არ უდევს.

ჰოდა, ლობიოზე მოგახსენებდით... ბალერინასავით ფეხის წვერებზე შემდგარი მივიპარე ერთხელ გაზქურასთან და ათუხთუხებულ ლობიოში ჩუმად ჩავუშვი ორი ცალი წიწაკა. ეს, როგორც ჩანს, ინტუიციით იგრძნო გულისვარდმა, მიატოვა სუნელის ნაყვა, მკრა ქვიჯას ხელი, წამოიწია და ბავშვის დაბადების დღეზე ქვისლისაგან ნაჩუქარი უზარმაზარი, პირდაღებული დათუნია მხეთქა ზურგში. მე ელვის სისწრაფით გავვარდი შუშაბანდში, ვტაცე სათამაშო ტრაქტორს ხელი და ვესროლე. ცრუმოძრაობით აიცილა. მაშინ თოჯინა გავუქანე, ისიც აიცილა. სამაგიეროდ, ხელ-ფეხდამძვრალი სინთეზური თოჯინა ქვაბს მოხვდა და მამასისხლად ნაყიდი, უკვე ამოსაღებად გამზადებული მოხარშული ლობიო გაზქურაზე დაიღვარა. ამის შემდეგ რაც ჩვენს შორის დატრიალდა, დეტალებში მოყოლა აღარც ღირს, რადგან შეიძლება მკითხველმაც ინერვიულოს და ერთი მაგრად შემიკურთხოს — შენისთანა კაცს დავახხი თავსლაფი ახეთ ცოლს რომ აქამდე შინ აჩერებდიო.

ბევრი არაფერი წაულია — ორი ტაშტი გავატანე, ხუთი წყვილი დანაჩანგალი, ერთი ბალიში და სანაგვე ურნა (ყველაფერი ეს დედამისის ნაყიდი იყო).

მეორე ცოლი პირველზე ორი სანტიმეტრით მაღალი, ექვსიოდე კილოგრამით მძიმე და ცენზითაც მეტი იყო — კულინარიის სამთვიანი კურსები ჰქონდა დამთავრებული და კერძების დამზადების ტექნოლოგიაში ისე ღრმად ერკვეოდა, რომ „სადილის წიგნში" თვეში ერთხელ თუ ჩაიხედავდა. სამწუხაროდ იმ ოჯახაშენებულს პოეზიაზე ოდნავადაც არ ჰქონდა წარმოდგენა. პოეზია კი, მოგეხსენებათ, ადამიანის სულიერი საკვებია, რა თქმა უნდა, გემრიელი კერძის შემდეგ. ფუნთუშა (მეორე ცოლის სახელია) ლექსს და პოემას ინდაურის ან იხვის ერთ ულუფა ხაცივს ანაცვლებდა, მაშინ, როცა მე პოეზიაზე გაგიჟებული ვიყავი. ჩვენს სამსახურში ადგილკომის კრება ისე არ ჩატარდებოდა, რომ ბოლოს ლექსი არ წამეკითხა. კედლის გაზეთი ხომ აჭრელებული იყო ჩემი ლექსებით. ქეიფებშიც ყოველ სადღეგრძელოს ლექსად ვამბობდი. ომზე დაწერილი ჩემი ლექსი რომ ჰიტლერს თავის დროზე წაეკითხა, შეიძლება ვერც გაებედა საზღვრის გადმოლახვა. „პატივცემული" მეუღლე კი აბუჩად მიგდებდა — ლექსებს იმიტომ წერ, რომ აფრენო. მე რომ შექსპირის სონეტებს ან ოტელოს მონოლოგს ვკითხულობდი, იგი მაშინვე სარეცხ მანქანას ჩართავდა... ბოლოს იქამდე მივიდა ფუნთუშას თავხედობა, რომ ლექსების ალბომი დამიხია, ხოლო რაც მის რისხვას გადაურჩა, ცოლისძმამ წაიღო სოფელში და მიითვისა. შემეძლო პასუხი მეგებებინა პლაგიატობისათვის, მაგრამ ისევ მის დასთან განშორება ვარჩიე.

მესამე ცოლსაც პირველად მე შევთავაზე გაყრა, მაგრამ მოსამართლემ მითხრა: შენ, ძმაო, შაჰ-აბასი ხომ არა გგონია თავი, ამდენ ცოლებს რომ ირთავო და მირჩია, შევრიგებოდი. სამაგიეროდ, თვითონ შარლოტამ შეიტანა განცხადება განქორწინებაზე. მიზეზი ის გახლდათ, რომ მეორე ცოლთან — ფუნთუშასთან გაყრის ცერემონიალი მინიინფარქტად დამიჯდა და მას შემდეგ ძილში აუტანელი ხვრინვა დამჩემდა, ხოლო ჩემი ბედის მესამე ვარსკვლავი მე ვერ მიტანდა და ჩემს ხვრინვას აიტანდა?!

... და სწორედ მაშინ ვიგრძენი პირველი ცოლის — გულისვარდის ფასი, როცა მესამეს გავშორდი, მას დანარჩენ ორთან ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ არც ალიმენტი დაუკისრებია ჩემთვის.

მე, ევგენი ონეგინისა არ იყოს, ცრემლების ღაპაღუპით მივწერე გულისამაჩქროლებელი, სულისშემძვრელი სასიყვარულო წერილი. მან ტატიანასავით როდი მიპასუხა უარით, რადგან იგი ჩემს შემდეგ არავის შეირთო, ისევ მე შემირიგდა.

ახლა ყველაფერი კარგად მიდის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სიამოვნებით მივირთმევ ქინძითა და ძმრით შეკაზმულ ლობიოს, კარაქში შემწვარ კარტოფილს, სტაფილოში დამწნილებულ კომბოსტოს, უმარილო და უწიწაკო კერძებს...

ვანო ცინცაძე

ბებერი თაღლია და მისი უსაყვარლესი მეუღლე ქეთევანი საკუთარი ეზოს წინ ჩამოსკუპებულიყვნენ და მძივებივით ჩაწიკწიკებული პროთეზის კბილებით მზესუმზირას აკნატუნებდნენ.

საქმეში გართული ცოლ-ქმრის წინ მოულოდნელად კოხტა ახალგაზრდამ ჩაიარა და თავაზიანად ჩაილაპარაკა:

— გამარჯობათ, მეზობლებო!

— ვინ იყო? — გადმოაფურთხა თაღლიამ, როგორც კი გამვლელმა ჩაიარა.

— აბა, რა ვიცი, ვინ იყო! — ახლა ქეთევანმა გადმოყარა პირიდან ჩენჩოები.

— თავაზიანად მოგვესალმა, მაგრამ ცოტა ღვარძლიანად მომეჩვენა! — ვერ ისვენებდა თაღლია, — მოიცა, რაღაც ამბავია... უნდა გავიგოთ და ჩვენ თვითონ უნდა დავასწროთ!..

— სწორეა, გაღმა უნდა შევედავოთ, რომ გამოღმა შემოგვერჩეს!

— მაშ რა!.. პატიოსან კაცს ბევრი მტერი ჰყავს!.. პატიოსანი რო ვარ, იმიტომ მეშინია, — თაღლია ჩაფიქრდა და მზესუმზირით სავსე მუჭა შუბლში იტკიცა, — მაიცა, მაივა, ეგ მგონი ზურაბის შვილი იყო!.. ზურაბისა!

— შარშან რომ უჩივლე, პარასკეობით სამსახურიდან შინ ხშირად ტაქსით მიდისო, იმისა?

— ჰო!

— არა მგონია!.. იქნებ გოგიას ბიჭი იყო?

— ამას წინათ რომ ვუჩივლე, ყოველ დღე ორ-ორი საზამთრო მოაქვს-მეთქი?

— ჰო!

— არა, — მზესუმზირა პირში ჩაიყარა თაღლიამ, — იმისი ბიჭი გათქვირული ბიჭია, ეგ კი მჭლე იყო!

### საეჭვო სალამი

— მაშ ვინ იყო, კაცო?

— ვინა და ზაქარას ბიჭი!

— ი!

— ეგ არის! ჩემი ჯავრი აქვს!... გახსოვს, ალმასკომში ვუჩივლე, ეზოში ბურქები მოთხარა და ხეები დარგა-მეთქი? ეგ არის!

— იმათ გვარში სუ შავკვრემანები არიან, ეგ ბიჭი კი ქღალი იყო!

— ქღალი! მაშ როსტომა იქნებოდა! ტუქსში რო დავაბეზღე, შუქს გვიანობამდე არ აქრობს-მეთქი, გახსოვს?

— არაფერი რო არ უგავდა როსტომს!

— მაშ ვინ იყო, ქალო?

— ეგ შენ უნდა იცოდე!

— მე ის ვიცი, რო უნდა დავასწროთ და ახლა მაგას უნდა ვუჩივლოთ!.. უნდა გავიგო ვინ არი და უნდა ვუჩივლო, ჯერ თავაზიანად რატომ მომესალმა.

— რო გითხრან, მა როგორ უნდა მოგესალმებოდაო? რას იტყვი?

— რასა და იმასა... იმასა, რო ჩემისთანა პატიოსან კაცს ადამიანი ცოტა ღვარძლიანად არ უნდა მიესალმოს-მეთქი! მაშა!

კამო შარმაზიანი




— ახალგაზრდავ, დამითმეთ ადგილი!
— თქვენ კი დამითმეთ ადგილი სამსახურში?

სარვამარტო ბარიკადები



თენგიზ სამსონაძის ნახატები

### იგავები

#### ავარია

ის შემთხვევა საზარელი,
სულ მიბნელებს თვალებს ახლაც:
დათუნია შავი „ვოლგით"
კურდღლის „ჟიგულს" დაეჯახა.
დაშნაშავე იყო დათვი —
ძლივს ახელდა მთვრალი თვალებს;
ბოლოს... ავტოს საჭის მართვა
საწყალ კურდღელს აუკრძალეს.

#### მევენახე

მტრედი — მარჯვე მევენახე,
თვითეულ ვაზს სულში ჩასწვდა,
მისი ქება და დიდება
საფრინველეს საზღვრებს გასცდა.
ახლა მტრედის აივნის წინ
ჟურნალისტთა ჯარი იცდის,
სანაქებო მევენახე
ვაზებისთვის ძლივსღა იცლის.

#### ქათმის ქურდი

მელაკუდამ ხშირი მისვლით
ჩამოილო მმაჩის კარი,
„ხელის ჭუჭყით" ირმიშვილად
გადიკეთა თავის გვარი.
დიახ, ის რაც არ მოსწონდა,
მოისროლა როგორც ბურთი;
მაგრამ პირწუწკს კვალად შერჩა
მეტსახელად — ქათმის ქურდი.

#### სოფლის თავი

მთიან სოფელს შველი კარგად
უძღვებოდა... ნეტავ იმ დროს
ზოგი ვენახს ალაღებდა,
ზოგი — ბოსტანს,
ზოგი — მინდორს.
ახლა როცა მელაც, ტურაც,
ქალაქს წახვლის ჟინით იწვის,
სოფლისთავიც შველი გახლავთ,
ბრიგადირიც, მუშაც მიწის.

#### არავის სჯერა

ხუთი წლის წინ მგელმა თავი
დაანება ხორცის ჭამას:
ზაფხულ — სათიბს ილოღნება,
ზამთარს — თივას, ბზეს და ჩალას.
მაგრამ, იცით, სამსახური
მგელს არ მისცეს არსად ჯერაც,
რადგან მისი გაცხვარება
ქვეყანაზე არვის სჯერა.

ქიშვარდ ისაკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქმის დაუჯერებელი

● ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ რამდენიმე დღეში გაიყიდა 500.000-ზე მეტი გრამფირფიტა, რომლებზეც ჩაწერილი იყო... ლოცვები.

მამაზეციერისადმი მიძღვნილ ლოცვებს ლაღადებდა მონაზონი ჯენეტ მიდიხი... თანამედროვე მოდური საესტრადო ორკესტრის თანხლებით.

● ინგლისელმა ექიმმა დ. მეიმ გამოიანგარიშა, რომ ფიზიკურად ნორმალური ადამიანის ქონიდან შეიძლება დამზადდეს შვიდი ნაჭერი... საპონი.

რკინიდან, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი შეიცავს, ერთი საშუალო სიდიდის ლურსმნის დამზადება შეიძლება.

● ჟურნალი „ნიუსუიკი" იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად ორ მილიონზე მეტი ალკოჰოლიკი ქალია.

ათი წლის წინათ ყოველ ექვს გამოუსწორებელ ლოთ კაცზე მხოლოდ ერთი ქალი მოდიოდა, ახლა კი ყოველ ექვს ლოთზე ორი ალკოჰოლიკი ქალი მოდის.

ამას წინათ იაპონიაში დაამზადეს ელექტროსაბეჭდი მანქანა. იგი ყოველ წუთში 2.000 ნიშანს ბეჭდავს.

● ქალაქ მილუოკის (აშშ) მკვიდრი, უსახლკარო ედი ლოუმენი ღამეებს ქუჩებში, ბაღებსა და მუნიციპალიტეტის შენობის სადარბაზოებში ათენებდა.

„საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის" მას შარშან, დეკემბრის დამდეგს 90 დღით პატიმრობა მიუსაჯეს.

ჰუმანიზმით აღვსილმა მოსამართლემ განაცხადა, რომ ეს განაჩენი ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უსახლკარო ედი ლოუმენს საშუალებას აძლევს თბილად და შედარებით მხიარულად შეეგებოს შობის დღესასწაულს.

● ჩიკაგოში ამას წინათ გაასამართლეს მსხვილი კომპანიების 47 პრეზიდენტი, რამდენიმე დირექტორი და მაღალი თანამდებობის პირი.

მათ ბრალად ედებოდათ ხელოვნურად გაზრდილი ფასების შესანარჩუნებლად ერთმანეთთან ფარული მოლაპარაკება და უკანონო შეთანხმება.

● მადრიდელმა მეძავეებმა ამ რამდენიმე ხნის წინ ოფიციალურად მოითხოვეს თავიანთი „ყველაზე უძველესი" პროფესიის ლეგალიზაცია...

უარის თქმის შემთხვევაში, მეძავები იმუქრებიან, რომ საჯაროდ გამოაქვეყნებენ მათი მრავალრიცხოვანი კლიენტების სიას, რომელშიც ბევრი ცნობილი პიროვნება იქნება დასახელებული.

● ფლორიდას შტატში მცხოვრებმა გარეული ცხოველების მწვრთნელმა ე. რობერტსმა პენსიაზე გასვლის შემდეგ რამდენიმე ლომი წაიყვანა შინ.

მწვრთნელი დარწმუნებული იყო, რომ ნადირთა მეფეები საიმედოდ დაიცავდნენ მას ქურდებისაგან.

ოთხი თვის მანძილზე ე. რობერტსის ბინა შვიდჯერ გაქურდეს.

● ჩვენს პლანეტაზე რემინგტონზე ყველაზე სწრაფად ბეჭდავს ვინმე პროკში-შტაინჰაუზერი, რომელიც კვალიშებზე ყოველ წუთში 300-მდე დარტყმას ასწრებს.

მოსამართლე დ. პარსონსმა დამნაშავეთა უმრავლესობას მიუსაჯა... 4-5 დღით პატიმრობა.

დამწუხრებულ მსჯავრდადებულებს მოსამართლემ აღუთქვა, რომ სასამართლო დაუყოვნებლივ განიხილავდა... შუამდგომლობას მათი პატიმრობის ვადის შემცირების შესახებ.

● მილიონერი გრაფ ბივერბრუკის ქვრივი არაფერს ზოგავს თავისი საყვარელი... ძაღლებისათვის.

ამას წინათ ოკეანეს იქით რომ გადაეყვანა ძაღლები, მდიდარმა ქვრივმა საგანგებოდ დაიქირავა 227 ადგილიანი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავი.

ქვრივის ასეთი მოქმედება ავიაკომპანიის წარმომადგენელმა შემდეგნაირად ახსნა: ბივერბრუკის ძაღლები მეტად მგრძნობიარენი არიან და საჰაერო მგზავრობის დროს შეიძლება შეზღუდულად ეგრძნოთ თავი ორფეხა მგზავრებთან ერთად.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰორიზონტალურად: 4. საბჭოთა ბალერინა; 7. თავნება; 8. პირბადე; 9. სასახლე იტალიაში; 10. ქალის თავსაბური; 11. ამერიკელი მწერალი ქალი; 12. ქართველი მოქანდაკე ქალი; 15. ელექტროაკუსტიკური აპარატი; 17. ქართველი მომღერალი ქალი, სსრკ სახალხო არტისტი; 20. რუსი კომპოზიტორი: 22. ქართველი კინომსახიობი; 24. მატყლის უხაო ქსოვილი; 26. ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის საზეიმო აღნიშვნის ინიციატორი, გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე; 28. ქალის ქართული თავსაბური; 29. საბჭოთა მომღერალი; 30. პატარა მრგვალი პური; 31. ქართველი მხატვარი ქალი.

ვერტიკალურად: 1. ტროპიკული მცოცავი ბუჩქი; 2. საბჭოთა მსახიობი; 3. წყალგაუვალი ნივთიერებით გაჟღენთილი ქსოვილი; 4. წვეტიანი მწვერვალი; 5. დედააზრი, რაობა; 6. ჩეხი მოჭადრაკე ქალი; 13. „დაისის" პერსონაჟი; 14. ფულის ერთეული; 15. მოკლე ხმალი; 16. თვე; 18. იტალიელი მწერალი; 19. ციხე-სიმაგრე საქართველოში; 21. ხელოვნური ბოჭკო; 23. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 25. ფრანგი დრამატურგი; 27. მინერალური სახუქი.

შეადგინა მ. ერისთავმა

## „დროშის" № 2 გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ვერტიკალურად: 1. კუმისი; 2. ოზონი; 3. ეროსი; 4. ლოგიკა; 5. ბერეჟნოი; 7. ადმირალი; 8. მეკინგი; 12. მუშკეტერი; 13. დისტორსია; 14. კონფუცი; 16. არბიტრი; 21. ბასტილია; 22. მელქაძე; 23. ასპირინი; 27. იარუსი; 28. იუბილე; 30. იურტა; 31. სნობი.

ჰორიზონტალურად: 5. ბლაუმიზი; 6. უროლოგია; 9. ანთეოსი; 10. მეტისი; 11. აკაცია; 15. კულინარია; 17. ჰობოი; 18. კროლი; 19. ეფემერი; 20. ანოპსია; 24. ცარცი; 25. არესი; 26. ბრიოლოგია; 29. დილთაი; 32. ზუმერი; 33. მუეძინი; 34. ატესტატი; 35. აბსოლუტი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ტელევიზიის დიქტორები ლია მიქაძე, ჟანეტა არჩვაძე, ნათელა ბოლქვაძე, ირინე მათიაშვილი და ქეთევან გვარამია. ვიქტორ ჯეირანელის ფოტო. მესამე გვერდზე: გოგონა წვიმაში. სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 11/II-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108[1]/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 50.900 შეკვ. № 523 უე 00642 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა




თბილისის ველოტრეკზე.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა